ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოემბერი 1901

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

		გვ.
I	მწუხარე კურდღლები (რუსულიდან)	3
II	ორი კოლო (თარგმანი)	5
III	ყმაწვილები და ჩიტი. ბლეშჩეევიდან—შ. მღვიმელისა	6
IV	მამულის საყვარული. დე-ამიჩისისა. თარგმანი—ტ. ჟ—ლისა	8
V	კრუხი და გუკული (თარგმანი)	13
VI	მცენარე და მისი ცხოვრება—ი. გოგიბერთლისა	16
VII	ლედი ჯენ, მოთხრობა, გაგრძელება—ედ. წერეთლისა	23
VIII	თუთიყუში და ბელურა. თარგმანი	36
IX	ქვის საუკუნის ბავშვები (დასასრული) ეკ. მ—სა	39
X	მეგობარი ამბავი—ქეთო ზარეფიშვილისა	47
XI	ალალ-მართლობა (რუსულიდან)	57
XII	ორი მხატვარი	58
XIII	წერილმანი: ისტორიული აკროსტიხი, გამოცანები, ანდაზები, ჩქარა-გამოსათქმელი, უჯრების ამოცანა, რებუსი და სხვ.	60

ნაკადული

საყმაწვილო ნახატებიანი

ყურნალი

ოზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაბურდი, გახდი ყანაო!..
ი. ფ.

№ XI

წელიწადი მეთოერმეტე

ტფილისი
სტამბა ტ. მ. როტინიანცისა, № 41 | Тип. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41
1901

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Ноября 1901 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწუხარე კურდღლები.

ურდღლებმა ტყეში თავი მოიყარეს და გადაწყვიტეს: „რადგან ცხოვრება გაჭირდა, — ქვეყანაზე აღარ დაგვედგომებაო“.

— ყველა ჩვენ გვაშინებს: მონადირე კაცი, ტყის ნადირი, გარეული ფრინველი,— ყველა ჩვენ გვიჭირვებს საქმეს. მეტი გზა არ არი, ძმობილებო, ჟნდა თავი დავიხრჩოთ.

კურდღლებმა ასე გადაწყვიტეს და გაიქცენ მახლობელ ტბისკენ. ამათ ხმაურობაზე ბაყაყებს შეეშინდათ და წყალში მოჰყვენ ხტუნვას და ყიყინს.

— ხედავთ, ძმობილებო, ბაყაყებს როგორ შეეშინდათ ჩვენი, მაშ ჩვენ ყველასი არა გვშინებია, იმისთანებიც ყოფილან, რომელნიც ჩვენ გაგვირბიან. მაშ წყალში გადასაგდები არა ვყოფილვართ.

და კურდღლებმა მოიწადინეს ქვეყანაზე ცხოვრება. მასუკან, ღვთის მოწყალებით, კურდღლები თავიანთვის კარგათ ცხოვრობენ.

(რუსულიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი კოლო

ორი კოლო მოფრინავდა: ერთი დიდი და ერთი პატარა. ნახეს გამაძღარი გლეხი, რომელიც გულაღმა იწვა და ამთქნარებდა.

— რა ბედს წავაწყდი! დაიბზუა პატარა კოლომ,—კაი ხანია გლეხის სისხლი არ მისვამს!

და გაფრინდა გლეხისაკენ.

— მოიცა, ნუ ჩქარობ, უთხრა დიდმა კოლომ,—დეე, გლეხმა ჯერ კარგათ დაიძინოს.

— თქვენ, ხანში შესულებმა, ხომ სულ აგრე იცით: «დაიცადეთ, ნუ ჩქარობთო»... თქვა პატარა კოლომ,—რა ბევრი ფიქრი უნდა. ერთბაშათ, მოულოდნელათ უნდა დავეცეთ... ერთი, ორი!... აი, ასე, უეურე!

და თავისი გრძელი ხორთუმი გლეხს ცხვირში ჩაურჭო. გლეხმაც უფიქრელათ ცხვირში ერთი ისეთი ლაწანი გაირტყა, რომ კოლო იმ წამსვე გაჭყლიტა.

— აგრე მოგიხდება შენ, თქვა დიდმა კოლომ.—რომ ამბობდი: «რა ბევრი ფიქრი უნდაო»—მოგივიდა საკადრისი თუ არა! ეგეც შენი «ერთბაშათ დავეცემიო».

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითონ-კი დაჯდა სის ტოტზე და დიდხანს ელოდებოდა, სანამ გლეხმა ხვრინვა არ ამოუშვა. მერე ნელა-ნელა მიფრინდა და ცოტა-ცოტა თავისი გრძელი სორთუმი კისერში ჩაურჭო.

კოლო დიდხანს წოვდა გლეხის სისხლს და თან ფიქრობდა: —ცოტა კიდევ! აი, კიდევ ცოტა და დავანებებ თავს, —და კოლომ ვერ იგრძნო ,,როგორ სისხლით დამთვრალს ჩაეძინა...

გლეხმა გვერდი იცვალა და კოლო გაიჭყლიტა.

—,,ახია თქვენზე, ორივეზე! თქვა ლოკოკინამ.—თქვე წრიპინებო, სისხლის მსმელებო! ნუ მოსწოვთ სხვის სისხლს და არც თქვენ გაგჭყლეტენ.

(რუსულიდან)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყმაწვილეგი და ჩიტი.

(პლესჩეევისა).

რა გვენანება, ჩვენო ჩიტუნავ,
შენი ხმა ტკბილი, წკრიალა, წყნარი!
ნუ წახვალ ჩვენგან...—რა ვქნა გენაცვათ,
რომ არ მაყენებს აქ წვიმა—ქარი!
აგერ, ხეებზე ტოლი ჩიტები
მელოდებიან ამხანაგებით...
თქვენ ისევ ტკბილათ გეძინებათ ხვალ,
ჩვენ საამხრეთისკენ რომ გავფრინდებით.
ახლა იქ არც წვიმს და არცა ცივა,
მშვენიერია სულ ამინდები;
არც მზე იმალავს იქ ღრუბლებში თავს...
—მაშ ჩვენსკენ რაზ-და გადმოფრინდები!?
მე მოვფრინდები ჭიკჭიკ-გალობით
თქვენთან, როდესაც გაზაფხულდება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მინდვრებში დადნება თოვლი
და მთის ნაკადიც ახმაურდება.
როს მზის სხივებით გამთბარი ველი
გამოცოცხლდება, აბიბინდება,
როს ყველა თქვენგანს წერა და კითხვა
გაბეჯითებით ეცოდინება.

შ. მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულის სიყვარული.

ამბავი ე. დე—ამიჩისისა.

ეს ამბავი მოხდა იმ დროს, როდესაც იტალია ჯერ არ იყო ახლანდელივით დაუმოკიდებელი სახელმწიფო. ის დაყოფილი პატარ-პატარა თემებათ ავსტრიას ემორჩილებოდა. იტალია გაანთავისუფლა ჯუზსეპე გარიბალდიმ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ჯუზსეპე გარიბალდი დაიბადა 1807 წ. და გარდაიცვალა 1862 წელს. მთელი თავის სიცოცხლე მან სამშობლოს განთავისუფლებისთვის ბრძოლაში გაატარა.

იტალიელებმა ახლა თითქმის ყველა ქალაქში თითო ქუჩას იმის სახელი დაარქვეს, ძეგლები დაუდგეს. რაც უნდა ღარიბი იტალიელი იყოს, უეჭველათ გარიბალდის სურათი აქვს სახლში. ასე უხდიან იტალიელნი მადლობას თავის ნამდვილ გმირს და განმათავისუფლებელს!

ის იყო, გაზაფხული დადგა, როდესაც ჩვენ პატარა საპაზრო ქალაქში მოგვივიდა ცნობა გარიბალდის ახალი გამარჯვებისა. ისე გემი არ წავიდოდა ჩვენგან, რომ თითო რაზმი მაინც გარიბალდისთან საშველათ არ გაგვესტუმრებინა. სკოლებში მასწავლებლები გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვეთილების დროს არ ასწავლიდენ და სულ გარიბალდის ქებაში იყვენ. მე და ჩემმა ორმა ამხანაგმა, რომლებშიაც ერთი ექიმის შვილი იყო და მეორე მდივნის, გადავწყვიტეთ, რომ ჩვენ გარიბალდისთვის

გარიბალდის ძეგლი

საჭირონი ვართ და ამიტომ უნდა საშველათ წავიდეთ. ჩვენ ქალაქში იყო დაარსებული იმ დროს საზოგადოება, რომელ'საც გარიბალდისთან წასვლის მსურველთათვის ვალათ ედო ფული მიეცა და გაეგზავნა კიდეც. ჩვენ სამივენი წავედით იმ საზოგადოების უფროსთან და შევატყობინეთ ჩვენი მისვლის მიზეზი. მან ჯერ გვირჩია, ნუ წახკალთო, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ ჩვენ ისევ ჩვენ სიტყვაზე ვიდექით, გვიპასუხა: „რა ექნა, შაბათს წასასვლელ გემზე ბილეთები სულ გაყიდულია, რამდენიმე დღე უნდა მოიცადოთ, მეტი გზა არ არისო. ორშაბათს მეორე გემი არის წასასვლელი გარიბალდისთან, შაბათს შემოდით და საგზაო ბილეთებს მოგცემთო". როგორც იყო, გავატარეთ სამი დღე და მესამე დღეზე წავედით კანტორაში. უფროსმა თავის ჩვეულებრივი ზრდილობით მიგვიღო და გვითხრა: —

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ყმაწვილებო, ვიცი გეწყინებათ, მაგრამ მეტი გზა არ არის, ეკიდევ უნდა დაიცადოთ. ორშაბათ წასასვლელი გემის ბილეთები სრულებით დაუტაცნიათ. თქვენთვის უნდა შეენახათ ბილეთები, მაგრამ დავიწყებიათ. სამ დღეს შემდეგ შემოიარეთ, ვნახოთ კიდევ, იქნება გიშოვოთ ბილეთებიო“. ახლა ჩვენი მოცდა ძნელი იყო, თითო საათი თითქმის თითო წელიწადათ გვეჩვენებოდა. როგორც იყო, გავატარეთ პირველი დღე. ჩემმა ამხანაგმა, ექიმის შვილმა, თავისი ეჭვი გამოთქვა, „ი კანტორის უფროსი ჩვენ სულ ასე გვატარებს და უსათუოთ ბოლოს ჩვენ მშობლებს შეატყობინებს, რადგან ის კარგათ იცნობს ჩვენ დედ მამასა“. ამ სიტყვებმა ჩვენ ძალიან გაგვაბრაზიანა. ჩვენ შევარდით კანტორაში და გამოვაცხადეთ ჩვენი ეჭვი. იმან ზრდილობიანათ გვიპასუხა:

— ყმაწვილებო, თქვენი ეჭვი სულ მეტი არის, გამოდით ორშაბათს დილის სამ საათზე ნავთ-სადგურზე, მე იქ ვიქნები და ბილეთებს მე თვითონ გადმოქცემთ. გემი-კი დილის ოთხ საათზე წავალ.

გახარებულები გამოვცვივდით კანტორიდან და გადავწყვიტეთ, დაგვეწერა მშობლებისან გამოსათხოვარი წერილი. მივირბინე დუქანში ქაღალდის და კარანდაშის საყიდლათ. როცა ყველაფერი მზათ გვქონდა, შემოვუსხედით იქვე გარეშემო ერთ ქვას, რომელმაც იმ დროს მაგიდას მაგივრობა გაგვიწია, და დავწერეთ სამივემ წერილი ერთიდა იგივე შინაარსისა: „ნახვამდის, ძვირფასო მშობლებო, სამშობლოს სიყვარული გვაიძულებს ჩვენ გარიბალდისთან წასვლას, ილოცეთ ჩვენი მშვიდობიანათ გადარჩენისთვის, გაუმარჯოს გარიბალდის!“ გავათავეთ თუ არა წერილი, შინისკენ გავქანდი, რომ ყველაფერი სამგზავროთ მომემზადებინა. ჯერ საცვლები ჩავალაგე, მერე აივანიდან, რომელიც ჩემი ოთახის წინ იყო, თოკი ჩავუშვი ეზოში, ბოლოს ქუჩის კარის გასაღები ეზოს ყურისმგდებელის შვილს გამოვართვი. როდესაც ყველაფერი მოვამზადე, მაშინ ვახშმათ წავედი. მაგრამ ლუკმა ჩემ ყელში არ ჩადიოდა, სირცხვილით ვერავის ვერ შევხედე; ვახშამს შემდეგ დედა-ჩემს ძლივს ვუთხარი ჩვეულებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ღამე მშვიდობისა“ და მაშინვე ლოგინში ჩავწექი. მაგრამ ძილი არ მეკარებოდა,—ხან რა წარმოიდგებოდა თვალ წინ და ხან რა. მომეჩვენებოდა, როგორ მიდიოდენ იერიშით წითელი ხალათები *) და, ავსტრიელები-კი გარბოდენ; ხან მუსიკის ხმა შემომესმებოდა... ამ დროს ეკლესიის საათმა სამჯერ დაჰკრა და მე თვალები გავაჭყიტე... მაგრამ ეს რა ვნახე... ჩემი ოთახი განათებული იყო, თავზე დედა ჩემი მადგა.

— მე ვიღამაც მიღალატა, დავიყვირე და ხელი ტანისამოსს წამოვაცალე, რომ მაინც როგორმე გავქცეულიყავი. ამ სიტყვებზე დედა ჩემმა ტკბილათ მითხრა:

— დამშვიდდი შვილო, შენ აღარ წახვალ.

— ამხანაგები მიცდიან, დედა, არ შეიძლება, უნდა წავიდე.

— არა, შვილო, მიპასუხა ალერსით დედამ, შენ ამხანაგები აღარ გიცდიან. კანტორის უფროსს არ უნდოდა თქვენი წასვლა ჩვენ უნებურათ და ჩვენ შეგვატყობინა. შენ ამხანაგებსაც ახლა თავისი მშობლები აღარ გაუშვებენ. ნუ გეშინია, კიდევ მოესწრები გარიბალდისთან ყოფნას. ჯერ კიდევ ბევრჯელ მოიწვევს გარიბალდი ახალგაზდობას საომრათ. შენ მაშინ დიდი იქნები, და მე სიამოვნებით გაგიშვებ. განა მე კი არ მიძგერს სამშობლოსთვის გული, ამაყათ წარმოთქვა დედა ჩემმა—ახლა გარიბალდი რომ აქ ყოფილიყო, ისიც დამეთანხმებოდა. რომ იცოდე, იმას როგორ უყვარს თავის დედა, აღარას იწყენ ჩემგან! იცი, რომ ჩემდა უნებურათ მოვიქეცი ასე?

ამ დედიჩემის სიტყვებმა გული მომილბეს და ცრემლები გამოჩნდენ ჩემ თვალებზე.

— კარგი, ახლა დაწექი და დაიძინე.

ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა. გავიხედე ფანჯარაში და თითქო სილა შემომკრეს, ისე ამენთო სახე. აივანიდან ჩაშ-

*) გარიბალდის მეომრებს ჩვეულებრივ წითელი ხალათები ეცვათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებული თოკის წინ მოგროვილიყვენ მთელი ეზოს მზარეულები, ქუჩის ბიჭები და რაღაც ქურდობაზე ლაპარაკობდენ, რომელიც ვითომ იმ თოკის საშუალებით მოეხდარიკო. ამ წამს ეს თოკი ისეთი საზიზღრათ მომეჩვენა, რომ ჩემი სირცხვილისგან გაწითლებული სახე საბან ქვეშ დავმალე. ამ შემთხვევას შემდეგ, როცა ვისმე უნებურათ წამოცდებოდა ის საშინელი 4 ასო: თ-ო-კ-ი, მე მაშინვე ამოვწითლდებოდი და ხელებს მივიფარებდი სახეზე.

ტ. კ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრუხი და გუგული.

ზეს კაშკაში გააქვს. ეზოში კრუხი დადის, მის გვერდით ზოგი ახლოს და ზოგი მოშორებით ჰატარა ყვითელი წიწილები დარბიან. კრუხი ერთ ამბავშია: ხან აქეთ ეცემა, ხან იქით, ცდილობს წიწილები გვერდით შეკრიბოს, რომ არავინ წაართვას.

აი გამოჩნდა ჰატარა დარო, მიწაზე ხის ჯურჯელი დადგა, შიგ კვერცხის გული ჩაჯრილი იყო, აქვე გვერდით რძე მოუდგა და კრუხ-წიწილებს დაუწყო მახილი.

— წიავ! წიავ! წიავ! წიწილებო!

კრუხი თავისი წიწილებით კრიახით მიუახლოვდა. წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილები ჭამენ და სვამენ, დედა-კრუსი გარს უტრიალებს, ზოგჯერ თითონაც მარცვალს აკენკავს.

კრუსმა შვილები რომ გამოაძღო, ღობესთან მიჯდა და თავისი წიწილები ფრთებ ქვეშ ამოისხა. ისინი, ჰატარა ბავშებივით, სირბილით დაიღალენ, მოიქანცენ, უნდა ახლა დაესვენათ.

ღობის იქით, მაღალ ნამვის ხეზე, გუგული იჯდა მოწყენილი უსაქმობით და დროს გასატარებლათ დაუწყო კრუსს ლაპარაკი:

— მიკვირს ღმერთმანი, ასე მთელი დღე როგორ არ მოგწყინდება სულ მაგ წიწილებს რომ დასდევ!

— რა მოსაწყენია, უპასუხა ქათამმა, ჰირ-იქით მე ძალიან მოხარული ვარ, რომ შევცქერი ჩემ შვილებს! მესიამოვნება როდესაც ისინი დარბიან და ცელქობენ ჩემ გვერდით. განა შვილები შენ-კი არა გყავს? ჰკითხა მან გუგულს.

— რასაკვირველია მყავს; მაგრამ მე იმათ არც ვხედავ და არც ეურს ვუგდებ. შვილების მოვლა მნელიც უნდა იყოს და არც სასიამოვნოა. კვერცხების გამოჩეკა ჩვეულებათ არა მაქვს. მე მას სხვის ბუდეში ვდებ. ჩემი ძმობილი ფრინველები გამოჩეკენ ხოლმე ჩემ შვილებს და ისინივე ზრდიან, მე უსრუნველათ, მარტო, ვცხოვრობ.

— ამიტომაც ხართ ყოველთვის აგრე მოწყენილი! უთხრა კრუსმა. რადგან თქვენ საზრუნველი არა გიქვთ-რა, ამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ სიხარულიც არ იცით. ყოველთვის მარტობა მოწყენილობას გამოიწვევს.

გუგული ჩაფიქრდა.

წიწილებმა გაიზვიზეს და ეზოში იწყეს სირბილი. დედა-კრუსი უკან გაჰყვა, საჭმლის მებნას ასწავლიდა. მათ წივ-წივს ყურს უგდებდა, მათი ლაპარაკი ესმოდა და კრიალით ჰასუხს აძლევდა.

გუგული დიდ ხანს შეკქეროდა ამ დედა-შვილებს. ამასაც მოუნდა შვილებზე ზრუნვა, მაგრამ მას ისინი არ გაახნდა. მისი შვილები იმ ფრინველისა იყო, რომელიც გამოჩეკდა და დედობას გაუწევდა.

გუგული მეორე ხეზე გადაფრინდა და ნაღვლიანი ხმით დაძახა. მერე თითქოს დარდი გადიყარაო, გაფრინდა შორს, შორს ტყეში.

(რუსულიდან)



ეროვნული ბიბლიოთეკა

მცენარე და მისი ცხოვრება.

Არსად არ გინახავს, ჩემო პატარა მკითხველო, ას წლოვანი მუხა? ხნოვანებას მისი სქელი და დანაოჭებული ქერქი ხავსითა და კორხლებით შეუმოსავს; სხვილი ტოტები აქა-იქ ზედვე შეხმობიან და საბრალოთ გამოიცქირებიან სქლათ შეფოთლილ ახალგაზდა შტოებ შორის, მაგრამ ბევრის მომსწრე მუხა მაინც მედიდურათ არხევს თავის ტანს და ამაყათ გადმოჩერებია თავის გარშემო ამოსულ წვრილ და პატარა ხეებს. ამოდენა მუხასთან შედარებით ერთი ცახე და საბრალო არსებათ გიგრძვნია შენი თავი, ჩემო მკითხველო, მაგრამ ამ დროს გულს ამაყათ ამოუძახნია: ეს ამოდენა ხე ჩემთან შედარებით არარაობაა,— მე სადაც მინდა, იქ წავალ, ეს-კი სულ ერთ ალაგას არის გაჩერებული; სიცხის, სიცივის, წვიმის მე არ მეშინია, ამას-კი ზაფხულში სიცხე უჭირვებს საქმეს, ზამთარში ყინვა, წვიმა და სეტყვა ხომ არ აცდებიან ამას; მე ვცოცხლობ, ვხარობ, ვსვამ, ვჭამ,— ეს კი საცოდავათ არის აყუყული და ცას შეჩერებია მარტოვო. მართლაც რა შედარებაა პირველის შეხედვით ადამიანსა და მუხას, ან სხვა რომელიმე ხეს შორის! ხე უსულო საგანია, რომელიც მხოლოთ შეშათ არის კარგი, ადამიანი-კი ცოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალი არსება, რომლის ტანი მთელ ფაბრიკას წარმოადგენს. მაგრამ თუ კარგათ ჩავუკვირდებით მცენარეს, შეეისწავლით მას, დავინახავთ, რომ ის ძალიან ბევრში ჰგავს საზოგადოთ ცხოველს. მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ყოველგვარი მცენარე, ას წლოვანი მუხა იქნება ის, თუ რამოდენიმე დღის უბრალო მინდვრის ბალახი, ცოცხალი არსებაა ისე, როგორც ადამიანი, შინაური ოთხ-ფეხი და სხვ.; მცენარე იბადება ისე, როგორც ყოველი ცხოველი, იზრდება, მრავლდება და კვდება; მცენარე საზრდოობს და სუნთქავს, ისე როგორც ჩვენ. მართალია, მას არც პირი გააჩნია, არც ფილტვები, მაგრამ პირისა და ფილტვების დანიშნულებას ასრულებენ მცენარის სხვა ნაწილები, რომლებსაც ჩვენ ქვევით გავიცნობთ.

ყოველი ცხოველი იბადება პატარა, იწყებს საზრდოობას, მიღებული საზრდოდან ის იშენებს თავის საკუთარ ნაწილებს ანუ მიღებული საჭმელი იმის ტანს ემატება, როგორც ხალხი იტყვის ხოლმე, და ამგვარათ ცხოველი ნელ-ნელა იზრდება. იგივე ემართება მიწიდან ახლათ ამომძვრალ მცენარეს. არ გინახავს ბოსტანში ახალ გამოზაფხულზე პატარა ატმები როგორ ამოყოფენ ხოლმე მიწიდან თავს? შემოდგომაზე ატმის კურკა გადუგდიათ ბოსტანში. მიწის სითბოს შემწეობით ატმის კურკა გალოჯილა და ამოსულა პატარა ატმის ხე. ეს პატარა ატამი მიწიდან და ჰაერიდან საზრდოს იღებს თავისი ფესვებისა და ფოთლების შემწეობით, ეს საზრდო მას ემატება, ისიც თანდა-თან იზრდება და რამოდენიმე წელიწადში იმხელა ატმის ხეთ იქცევა, რომ ერთ მშვენიერ დღეს შენც თამამათ შეხვალ ზედ ატმის მოსაკრეფათ. აქედან აშკარაა, რომ როგორც მცენარის აგებულება, ისე მისი ცხოვრება არც ისე უბრალოა, როგორც პირველის შეხედვით გვეჩვენება.

მცენარეების შესწავლას უძველეს დროს შეუდგენ. ჯერ ქრისტე არ ყოფილა დაბადებული, როდესაც საბერძნეთში ცხოვრობდა გამოჩენილი მეცნიერი არისტოტელი, რომელმაც ბევრი გამოკვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა დატოვა მცენარეთა აგებულებისა და ცხოვრების შესახებ. მას აქვთ ამ საგანს სულ იკვლევდენ სხვა-და-სხვა პირები, მაგრამ მცენარის შესწავლამ მხოლოთ ჩვენს დროში, მეცხრამეტე საუკუნეში, წაიწია შესამჩნევათ წინ. დღეს არსებობს მთელი მეცნიერება, რომელიც იკვლევს მცენარესა და იმის ცხოვრებას; ამ მეცნიერებას ეწოდება ბოტანიკა.

მცენარეთა სამეფო ერცელი და მრავალ-ფეროვანია. მინდვრები ათასნაირი ბალახებითა და ყვავილებით არის შემკული, ტყეებში და მთებში სხვა-და-სხვაგვარი ხეები ხარობენ, წყალშიაც-კი გაუკეთებია სხვა და-სხვა ბალახს თავისი სამყოფი ბინა; ერთის მხრით პატარა სოკო, რომლითაც ჩვენ ხშირათ პირს ჩავიგემრიელებთ ხოლმე, და მეორე მხრით დიდი მუხა, რომლის სიცოცხლეშიც მისი ჩრდილით ვტკბებით, სიკვდილის შემდეგ-კი შეშათ ვაქცევთ, ან სახლის ასაშენებელ მასალათ, ერთის მხრით ლამაზი ია, მეორე მხრით უშნო ხავსი,—ყველა ესენი მცენარეს წარმოადგენენ და ამიტომ მცენარეთა სამეფოს ეკუთვნიან. როგორც ყოველ ისფერი დედამიწის ზურგზე, ისე მცენარეთა სამეფოც ნელა-ნელა იცვლება. რამოდენიმე მილიონი წლის წინეთ ჩვენი დედამიწა მზესავით გახურებული იყო. მიწა, ლითონები—ერთი სიტყვით ყველა ის ნივთიერება, რომლისგანაც ჩვენი დედამიწა შედგება, მაშინ ადუღებული იყო, და ამიტომ რასაკვირველია, დედამიწაზე არავითარი სიცოცხლე არა ყოფილა,—არც არავითარი ცხოველი ცხოვრებდა, არც რაიმე მცენარე ხარობდა. მიდიოდენ წლები და ჩვენი დედამიწა ნელა-ნელა ცივდებოდა, ადუღებული ნივთიერება თან-და თან სქელდებოდა. ბოლოს, როდესაც დედამიწა იმდენათ გაცივდა, რომ მას კანი გაუმაგრდა და წყალმა ზღვებში, ტბებში და მდინარეებში მოიყარა თავი, დედამიწაზე ნელა ნელა გაჩნდა სიცოცხლე, ხოლო პირველი ცოცხალი არსებანი მეცნიერების აზრით იყვენ მცენარენი. ჯერ ბალახეულობა გაჩნდა, შემდეგ ხეები, მაგრამ უწინდელი მცენარეულობა ახლანდელს სრულებით არა ჰგავდა. მრავალი წლების განმავლობაში მცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარეთა სამეფო იცვლებოდა, ზოგი მცენარე სრულებით მოიხსნა, ზოგი სრულებით გადასხვაფერდა და ამკვარათ ნელა-ნელა განვითარდა ისეთი მცენარეულობა, როგორიც დღეს არსებობს დედამიწის ზურგზე. დღევანდელი მცენარეულობაც იცვლება ნელა-ნელა და, რამოდენიმე ათი ათასი წელიწადი რომ გაიელის, მაშინ მცენარეთა სამეფო უეჭველია, იმგვარი აღარ იქნება, როგორიც დღეს არის.

ყოველი ცოცხალი არსების ორ უმთავრეს თვისებას შეადგენს საზრდოობა და გამრავლება. რადგანაც მცენარე კიდეც საზრდოობს და კიდეც მრავლდება, ამიტომ მცენარეც ცოცხალი არსება არის. იმის მიხედვით, თუ როგორ და რა გზით შოვილობს მცენარე საზდოს, მცენარეთა სამეფო ჩვენ შეგვიძლია დავყოთ ორ დიდ ნაწილათ; პირველ ნაწილს შეადგენენ ისეთი მცენარენი, რომლებიც თავისი საკუთარი შრომითა ცხოვრობენ,—მათ მიწაში გადგმული აქვთ ფესვები, ფესვები მიწიდან ისვამენ წყალსა და მასში გამდნარ სხვა-და-სხვა ნივთიერებას, ყოველივე ეს ფესვებიდან ადის ზევით და იფანტება მცენარის სხვა-და-სხვა ნაწილებში; ფოთლების შემწეობით კი მცენარე ისვამს ანუ ისუნთქავს ჰაერს, მზის სითბოს და ამგვარათ ის საზრდოობს. მეორე ნაწილს შეადგენენ ისეთი მცენარენი, რომლებიც თავისი სიზარმაცისა გამო ნამდვილი მუქთა ხორები არიან, იმათ გარჯა და შრომა არ უყვართ, მზამზარეულათ მირთმეულს-კი მშვენიერათ გიახლებიან! დაასკუპდებიან რომელიმე ხეს და წოვენ მას საზრდოს! ამგვარათ ხე შრომობს, ფესვებს აქეთ-იქით გზავნის მიწაში, რომ როგორმე საზრდო იშოვნოს, მისი შრომით შეძენილ საზრდოს-კი სხვა შეექცევა. ასეთი მცენარენი არიან ხის სოკო, ფითრი და სხვ. არ გინახავს ტყეში წიფელას ქერქზე ამოსული პატარა სოკო? ის იმდენათ გამჭკნარია და ისე პატარა, რომ ვერც-კი შეამჩნევს ადამიანი, მაგრამ ნელა-ნელა ჩაუყრის თავის პატარა ფესვებს წიფელას კანში, ამოწუწნის იქიდან საზრდოს, და თან-და თან იზრდება, გაიშლება, გაიბარდნება და ერთი-ორი კვირის შემდეგ გარშემო შემოვდება მთელ წიფელას. მაგრამ წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელა დიდი ხეა, სოკო მას ვერ დაჩაგრავს და ვერაფერს აკნებს. სულ სხვაა ფითრი, რომელსაც განსაკუთრებით უყვარს მსხლის ხე. თუ-კი ერთხელვე მიეკრო მსხლის ქერქს ფითრი, რამოდენიმე წელიწადში გაიზრდება, მთელ მსხალს შემოედება გარშემო, გამოაცლის მას საზრდოს, მსხალი ველარ შეძლებს, თავის თავიც არჩინოს და ამოდენა ფითრიც, და ამის გამო თან-და-თან ილევა, ფოთლები უპატარავდება, ნაყოფს ველარ ისხამს რიგიანათ, ტოტები უხმება და ხშირათ მთელი მსხალი ესალმება წუთი სოფელს და ხმება.

სანამ განვიხილავდეთ უფრო დაწვრილებით მცენარის საზრდოობას, თვალი გადავავლოთ მცენარის აგებულებას. ყოველი მცენარე, როგორც ყველა სხვა ცხოველები და მათ შორის ადამიანიც, შედგება პატარ-პატარა ნაწილებისაგან, რომლებსაც უწოდებენ უჯრედებს. მცენარის რომელიმე ნაწილი რომ აიღოთ, ამ უჯრედებს ვერ დაინახავთ; ხოლო თუ მცენარეს თხლათ ააჭრით პატარა ნაწილს და გასინჯავთ მიკროსკოპში, რომელიც მას რამოდენიმე ასი ზომით უფრო დიდათ დაგანახვებს, მაშინ თქვენ აშკარათ შეამჩნევთ, რომ მცენარე, დაყოფილია, როგორც ბადე, პატარა ნაწილებათ; თვითეულ ნაწილს ჰქვია უჯრედი. უჯრედს გარედან აქვს კანი, ზოგს თხელი, ზოგს კი ძალიან სქელი. შიგნით-კი უჯრედი შეიცავს სითხეს—წბოლს. ზოგ უჯრედში წბოლი ბევრია, ზოგში ძალიან ცოტა, ზოგი-კი სრულებით გამომშრალია, როგორც მაგალითათ ხის ქერქის უჯრედები. ამ წბოლში დაცურავენ სხვა-და-სხვა რგვალი მარცვლები: კრახმალის მარცვლები, ქლოროფილის და სხვ. კრახმალის მარცვლები ძალიან ბევრია განსაკუთრებით კართოფილში, ქერში, პურში და სხვ. კრახმალი შეადგენს მცენარის საზრდოს. ქლოროფილი აძლევს მცენარეს მწვანე ფერს; მას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარისათვის: ქლოროფილის შეძწეობით მცენარე ფესვებისა და ფოთლების შემწეობით მიღებული საზრდოდან ამზადებს შაქარს, კრახმალს და ამგვარათ ასაზრდოებს თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს. უჯრედების წბოლში არის აგრეთვე ზეთი; ზოგიერთი მცენარე უფრო მდიდარია ზეთით, ზოგი-კი ღარიბი.

ზოგი მცენარე მხოლოთ ცალი უჯრედისაგან შედგება, მაგრამ ამგვარ მცენარეთა რიცხვი ცოტაა, მცენარეთა უმეტესობა-კი წარმოადგენს ურიცხვი უჯრედების კრებულს ისე, როგორც ადამიანი. როდესაც მრავალი უჯრედები ერთათ არიან შეერთებული, ამას უწოდებენ ქსოვილს. ამგვარათ მცენარე შედგება ბევრი სხვადა სხვა ქსოვილებისაგან. თვითეულ ქსოვილს თავისი საკუთარი დანიშნულება აქვს და ამიტომ მცენარეშიაც შრომა ისეა განაწილებული, როგორც ადამიანის აგებულებაში. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანის ტანში კუჭის დანიშნულება—საჭმლის მონელებაა, გულისა—სისხლის ბრუნვა, ფილტვებისა—ჰაერიდან მჟავბადის მიღება, ჭაჭებისა ანუ თირკმელებისა—სისხლის გაწმენდა და სხვ. აგრეთვე მცენარეშიაც სხვა-და-სხვა ქსოვილებს სხვა და-სხვა საქმის ასრულება ადევს ვალათ, რასაც ახლავე დავინახავთ. ყველა მცენარის ფესვების და ტოტების ბოლოებში არის სანაშენო ქსოვილი; ამ ქსოვილის უჯრედები შეუჩერებლათ მრავლდებიან და ეს იწვევს მცენარის გაზრდას და გასხვილებას. მცენარის ყოველ ნაწილში და განსაკუთრებით ფოთლებში არის ქლოროფილიანი ქსოვილი. ბევრ მცენარეს აქვს აგრეთვე სათადარიგო ქსოვილი, სადაც გროვდება კრახმალი, ზეთი და სხვ., რაც საჭიროა თვით მცენარის საზრდოობისათვის.

ბევრ მცენარეს აქვს აგრეთვე ერთგვარი ქსოვილი, რომელიც მას სიმაგრეს აძლევს და გარეშე მტრისაგან იფარავს, მაგალითათ, ხის ქერქი, კაკლისა და თხილის ნაჭუჭი, წაბლის კანი და სხვ. ყოველ მცენარეს აქვს აგრეთვე მილებიანი ქსოვილი, რომელიც შედგება მრავალი წვრილი მილებისაგან. ეს მილები განიყოფებიან ორ ნაწილათ. პირველი ნაწილის მილები მცენარის ფესვებიდან მოყოლებული მიდიან ფოთლებისაკენ. მცენარის ფესვები ისვამენ მიწიდან წყალს, რომელშიაც გამდნარია სხვა-და-სხვა ნივთიერება; ეს წყალი ნელა-ნელა ადის მილებში და ვადადის მცენარის ფოთლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. ფოთლებში ძალიან ბევრია ქლოროფილი, რომელიც იკრეფავს მზის სითბოს. სითბოს შემწეობით ქლოროფილი ინელებს ფესვებიდან წყალთან ერთათ მიღებულ ნივთიერებას, წყალი ორთქლათ იქცევა სითბოს წყალობით და ჰაერში გადავა, სხვა-და-სხვა ნივთიერება-კი, რაც მასში იყო გამდნარი, ფოთლებში დარჩება, გადიქცევა შაქრათ, კრახმალათ და სხვ მასაზრდოებელ მასალათ. ფოთლებიდან იწყება მეორე გვარი მილები, რომლებიც იფანტებიან მცენარის ყველა ნაწილებში და ამ მილებით საზრდო ფოთლებიდან მიუდის მცენარის ყოველ ნაწილს. აქედან ცხადია, რომ მცენარის აგებულება ბევრში ჰგავს ადამიანის აგებულებას. ფესვები ასრულებენ პირისა და ხელების მოვალეობას, მილები —სისხლის ძარღვებისას, წყალი, რომელსაც ფესვები მიწიდან ისვამენ—სისხლის დანიშნულებას, წყალში გაქნილი ნივთიერებანი—საზრდოსას და ფოთლების დანიშნულება იმგვარიევა, რაც ადამიანის კუჭის და აგრეთვე ფილტვების.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლედი ჯენ.

(ჯემისონის მოთხრობა)

XIX

ოქროს საათი.

ერთ დილას, როდესაც დეიდა მოდი თავის სარძეევ ოთახში იჯდა და კარაქს ამზადებდა, კარი შემოაღო პეშუმ, დაუდვა ცოლს წინ ქაღალდში გახვეული რაღაც პატარა საგანი და უთხრა, გახსენიო.

— ახლავე, მხოლოთ ხელს წაიბან! — ღიმილით მიუგო დეიდა მოდიმ. პეშუმ ცოტა მოიცადა, მერე თვითონვე გახსნა ქაღალდი და აჩვენა ცოლს მშვენიერი პატარა ოქროს საათი გრძელ ოქროსავე ძეწკვზე ჩამოკიდებული.

დეიდა მოდი გაშტერდა.

— სად იშოვე ეს მშვენიერება? — აღტაცებით წამოიძახა მან, სტაცა ხელი საათს და ყურადღებით დაუწყო მას თვალიერება. საათი ლურჯი ემალით იყო მორთული. მის ცალ გვერდზე დახატული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ლამაზი შტო ბრილიანტის კუნწალით, მეორეზე-კი ხელოვნურ-
რათ იყო ამოჭრილი ორი ასო, ჯ. და ჩ.

— ჯ. და ჩ. —გაკვირვებით წაილაპარაკა დეიდა მოდიმ.—ეს ასოები ხომ პატარა ლედი ჯენის საცვლებს აწერია! პეშუ!—უცებ მიუბრუნდა ის ქმარს.—სად იშოვე ეს საათი? ვისია?

— ვისია და ჩემი!—სიცილით მიუგო პეშუმ.

ცოლმა გაკვირვებით შეხედა. ეტყობოდა, რომ არ ჯეროდა.

— გეუბნები, რომ ჩემია!—გაუმეორა ქმარმა.—ეს არის, ვიყიდე!

— საკვირველია! ასეთი ლამაზი საათი იყიდე—და უყუთოთ, ქალალდში გახვეული! სად იყიდე?

— პოლიციის სასამართლოში!

— პოლიციის სასამართლოში! კიდევ უფრო გაუკვირდა დეიდა მოდის.—მერე ვისგან?

— რასტ ქოზენისაგან.

რამდენსამე წამს დეიდა მოდი დაკვირვებით უყურებდა ქმარს, მერე უეცრათ წამოიძახა:

— ჰოო! ხომ გეუბნებოდი!

— რას მეუბნებოდი?— ღიმილით ჰკითხა ქმარმა.

— რას და იმას, რომ ყველა ნივთები, რომლებსაც ჯ. და ჩ. აწერია, რასაკვირველია, ეს საათიც, მოპარულია! ყველა ეს ეკუთვნის ჯენს. . და ჯენი ქოზენის ნათესავი არ არის.

— ფრთხილათ, მოდი, ფრთხილათ!

— რაღა ფრთხილათ! უთუოთ უმიზეზოთ არ იქნებოდა რასტი პოლიციის სასამართლოში!

— ის დაიჭირეს, რადგან ქურდობა დაწამეს... მაგრამ მისი დანაშაულობა დამტკიცებული არ არის.

— ამ საათის მოპარვა დაწამეს?

— არა, სხვა ქურდობა, მაგრამ ეს საათი რომ ზედ ჰქონდა, ამასაც მიაქციეს ყურადღება. საკვირველია, რომ სწორეთ მე ვიგდე ხელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ლამაზი ნივთი! შემთხვევით გამოვიარე სასამართლოსთან. ეხედავ — დამნაშავეთა შორის რასტიც ზის. შევიარე გასაგებათ, რატომ დაიჭირეს. მითხრა: ამას წინეთ რომ ქურდებმა ოქრომჭედლების მაღაზიები გაცარცვეს—მეც მათ ამხანაგობას მწამებენო. თურმე უკითხავსთ მისთვის, ეს ქალის საათი საიდან გაქვსო, იმას უპასუხნია, ერთმა ჩემმა ნათესავმა ქალმა, სიკვდილს შემდეგ, დედა ჩემს დაუტოვა, დედამ-კი მე მაჩუქაო.—რა ერქვა სახელათ თქვენ ნათესავ ქალსაო? — ჰკითხეს. —ჩარლი ჯოზენიო! - ურცხვათ უპასუხა.

— მერე? ვერაფრით ვერ გამოიძიეს, საიდან იშოვა საათი?

— ვერა! მაგრამ მაინც მსაჯულმა ერთი თვით სატუსაღოში დაპატიმრება გადუწყვიტა.

— მარტო ერთი თვით!—წყენით წამოიძახა დეიდა მოდიმ.

— გეუბნებიან, რომ ვერ დაუმტკიცეს დანაშაულობა!—მიუგო პეშუმ.—ისიც კარგია, რომ ერთ თვეს მაინც იჯდომება! ახლა ყური დამიგდე, საათი როგორ ვიყიდე. დგას რასტი სასამართლოს ეზოში და სხვა ტუსაღებს ელაპარაკება. მესმის — რაღაცაზე ეაჭრობენ. ერთი 50 დოლლარს *) აძლევს.—ვინ გგონიეარო?—შემოუძახა რასტმა.—ფული-კი მჭირდება, მაგრამ . არც ისე სულელი ვარ, რომ ასეთი საათი მაგ ფასათ მოგცეო. მეორემ 60 დოლლარი შეაძლია. რასტმა არც ის აიღო. აქ მე მივუახლოვდი. —ერთი მანახეთ ეგ საათი, იქნება მე ვიყიდო-თქო!—ეუთხარი დამშვიდებით, მეშინოდა, არ შეენიშნა, რომ ძალიან მინდოდა საათის ხელში ჩაგდება. მომცა; დავათვალიერე; არა უშავს-რა-თქო, ეუთხარი და 75 დოლლარი შევაძლიე.— ოჰო, კაი ეშმაკი ყოფილხართო!— მითხრა. ცოტა მოეცადე და გადაწყვეტით გამოეუცხადე, 90 დოლლარს მოგცემ-თქო, თან ქისა ამოვიღე და ფულებს თვლა დავუწყე. ამან იმოქმედა, მაშინვე დათანხმდა. რასაკვირველია, სხვა დროს მოპარულ ნივთს არაფრის გულისთვის არ ვიყიდდი... მაგრამ ახლა ჩვენი პატარა ჯენი მყავდა სახეში და მი-

*) დოლლარი—2 მანეთია.

ტომ ჩაიდინე ეს საქმე. ვინ იცის, იქნება ერთ დროს ამ საათმა რითიმე გვიშველოს იმ ბნელის გაფანტვა, რომელშიაც ბავშის წარსულია გახვეული... თუ არა-და ის ფული, რასაც ამაში ამოიგებს ადამიანი, ყოველთვის გამოადგება ჯენს!

— მართალია, პეშუ!—დაეთანხმა ცოლი.—90 დოლლარი ჩვენთვის ძალიან დასაკლისია, მაგრამ თუ ჯენს მაგ საათის ყიდვა რასმე წაეხმარება—მე ფული არ დამენანება!

ერთ ხანს დეიდა მოდი დაკვირვებით დაჩერებოდა საათს, მერე უეცრათ წამოიძახა:

— ოჰ, ნეტავი ლაპარაკი შეეძლოს!

— მოიცადე და ვინ იცის, იქნება კიდეც ავალაპარაკოთ!—მიუგო პეშუმ.

— ბევრი რამე-კი ექნება სათქმელი, ენა რომ ჰქონდეს!—თქვა ისევ დეიდა მოდიმ.—რაც უნდა იყოს, მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ეს საათი ჩვენ ხელში ჩავარდა.

პეშუმ გამოართვა საათი, გახსნა და სახურავის შიგნითა ნაწილზე რაღაც აჩვენა.

— აი, ეს მიგვაგნებინებს კვალს!—კმაყოფილებით უთხრა მან. —ახლა-კი შეინახე ეს საათი და ნურავის, მადელონსაც-კი, ნუ ეტყვი, რომ მე ეგ ვიყიდე. ჭოზენს-კი თვალყური ადევნე...

— რას გაუგებ, ისეთი ეშმაკია, რომ ვერაფერს ვერ შეატყობ!—გულ-მოსულათ მიუგო ცოლმა.

— მაინც... იქნება რამეში დავიჭიროთ!

— საწყალი პატარა ჯენი! ამოიოხრა დეიდა მოდიმ.—ძალიან ტკბილი არ უნდა იყოს მისი ცხოვრება იმ კაპას ჭოზენთან! ერთ სიტყვასაც არაოდეს არ იტყვის თავის „დეიდა პოლინაზე", მაგრამ მე მაინც ვხედავ, რაშიაც არის საქმე! სხვა ქალი ძალს უფრო მოუვლის, ვიდრე ჭოზენი იმ ბავშს! საწყალი პატარა, ისე გახდა, ისე გაყვითლდა ამ უკანასკნელ დროს! მადელონი და პეპსი რომ არა და ქალბატონი დიანაც—სულ დაჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექდებოდა უბედური! მე რომ მადელონს რძეს ეუგზავნი — ის შეელის კიდევ! პეპსი სულ აღარ სვამს, ჯენს მეტი დარჩესო!

— რატომ არ მოგყავს ხოლმე ჩვენთან? — შეეკითხა ქმარი. — ჩვენ ბავშებთან ითამაშებდა... მოელა ხომ არაფერი უნდა... პატარა ჩიტსავით არის...

— მეც-კი მინდა, რომ ვატარო ჩვენსას, მაგრამ ქოზენი არ უშვებს. — წყენით მიუგო ცოლმა. — ახლა და ახლა სულ სახლში ჰყავს, პეპსი და ქალბატონი დიანა წუხდენ, ჩვენთანაც აღარ უშვებსო, უთუოთ, ეშინია, ახლა ბავში წამოიზარდა, ვაი თუ რამე გაახსენდეს თავისი უწინდელი ცხოვრებიდან და ყველასთან ტიტინი დაიწყოსო...

— მე ერთი საქმე მაქვს გადაწყვეტილი, მოდი! — უეცრათ შეაწყვეტინა ცოლს სიტყვა პეშუმ. — მაგრამ შენ პირობა უნდა მომცე, რომ მოთმინება არ დაგეკარგება და იმ საქმის ასრულებაში ხელს არ შემიშლი.

დეიდა მოდიმ სიამოვნებით მისცა ქმარს ეს პირობა.

XX

ქოზენი ქალბატონ დიანასას.

პირველ ხანებში ქოზენი ცდილობდა ქალბატონ დიანას და მის დედას დაახლოებოდა, მაგრამ ორივე დედა-შვილმა ცხადათ აჩვენეს, თუ თქვენ ბავშს ჩვენ სახლში ვიღებთ, ეს იმას სრულებითაც არ ნიშნავს, რომ დეიდა მისთანაც დამეგობრება გვსურსო და გაბრაზებულმა ქოზენმა გადაწყვიტა დაესაჯა ისინი ასეთი სიამაყისთვის. არ გასულა სამი დღე მას აქეთ, რაც პეშუმ ოქროს საათი იყიდა, რომ ქოზენმა ქალბატონი დიანას ლამაზათ ამწვანებული ბაღის ჭიშკარი შეაღო და ამაყი, მედიდური სახის გამომეტყველებით პატარა კოხტა სახლისკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავიდა. ეტყობოდა, რომ საქმეზე მოსულიყო. ქალბატონ დიანას ჯერ ერთი ორი სიტყვაც არ ეთქვა მისთვის, რომ მან ჯიბიდან გატენილი ქისა ამოიღო და ამაყათ ჰკითხა ქალს:

— აბა, მიბრძანეთ, რა გერგებათ თქვენი ანგარიშით!

— როგორ თუ რა მერგება! —გაკვირვებით ჰკითხა დიანამ.

— ჯენის გაკვეთილებისთვის. ეს რამდენიმე თვეა ასწავლით და დროა, თქვენი ჯამაგირი მიიღოთ!

— უკაცრავათ, ბატონო!—აღელვებით მიუგო დიანამ.—მე ფულისთვის არ ვასწავლი ბავშს! მე ჩემი სურვილით და მხოლოთ ჩემი სიამოვნებისათვის ვასწავლი მას!

— რისთვის უნდა ასწავლოთ ტყუილა, როცა მე შეძლება მაქვს, ჯამაგირი გაძლიოთ! — დაცინვით შეეკითხა ქოზენი, ამოიღო ქისიდან რამდენიმე ქაღალდის ფული და გაუშვირა დიანას, — თქვენ ისეთ გაჭირვებაში ხართ, რომ საჭიროა, ფულზე რომ უარს ამბობთ. მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ შეძლება მაქვს, ახლავე გადაგიხადოთ. მასწავლებელი მართლა კარგი ყოფილხართ, ბავშმა გვარიანათ ისწავლა დაკვრა...

პირველ წამს დიანა გაშტერდა, ასეთი სიტყვები რომ გაიგონა, მაგრამ მალე გაახსენდა, რომ გრაფ ოტრევის შვილს არ ეკადრებოდა ვილაც გაუზდელ, უბრალო ქალთან ჩხუბი, მედიდურათ ასწია ზევით ამაყი თავი და მხოლოთ ეს უპასუხა:

— ძალიან ვწუხვარ, რომ უბრალო მასწავლებლათ მიმიღეთ... მე არაოდეს არ ამიღია გაკვეთილებში ფული... და არც ავიღებ.

— მე მაინც ვიმეორებ, რომ ეს ფული უნდა მიიღოთ! - ისევ თავისი გაიმეორა ქოზენმა და ისევ გაუშვირა დიანას ფულები.

— მეც გიმეორებთ, რომ ეს შეუძლებელია. ნება მიბოძეთ, ჭიშკრის კარებ.. გაგიღოთ.

— კარგი!—გულმოსულათ მიუგო ქოზენმა.—მაგრამ იცოდეთ, რომ აწი ნებას აღარ მივცემ ჩემ დისწულს, თქვენთან იაროს თუ მისთვის საჭიროა მუსიკის სწავლა—ისეთ მასწავლებელს ვუშოვი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც თავის დამცირებათ არ ჩათვლის გაკვეთილებში ფულის აღებას.

— ნუ თუ მაგ სიამოვნებასაც მოგვაკლებთ, ნუ თუ ბავშს აღარ გამოუშვებთ ჩვენთან!—წყენით წამოიძახა დიანამ და ცრემლები ძლივს შეიკავა.

— მე არ მინდა, რომ ჩემმა დისწულმა დილიდან საღამომდის სულ ქუჩებში ირბინოს!—ცივათ მიუგო ქოზენმა.—მას აქეთ, რაც ამ ქუჩაზე გადმოვედით—თავიც უარესათ უჭირავს, ვიდრე უწინ!—ამ სიტყვებით ის გამოვიდა ლამაზი ბალიდან და წყრომით გაიბრახუნა ჭიშკარი. დიანა ერთ წამს გაშტერებული დარჩა.

— დიანა! დიანა!—მოესმა მას ამ დროს მოხუცი დედის ხმა, რომელიც ლოგინში იწვა და რომელმაც მხოლოთ იქა-აქ მოჰკრა ყური ლაპარაკს.—დიანა, რა უნდოდა იმ ქალს? ვინ მისცა ჩვენსას ასე ადრე მოსვლის ნება?

— საქმე ჰქონდა, დედა!— წყნარათ მიუგო დიანამ და ცრემლები შეიწმინდა.

— საქმე? მერე რა საქმე უნდა ჰქონოდა შენთან?

— მას ეგონა, რომ ჯენის სწავლებაში ფულს ავიღებდი.

— ხომ გეუბნებოდი, ნუ შემოგყავს ბავში ჩვენ სახლში, თუ არა ინანებ-თქო?—წყრობით უთხრა დედამ.

— არა, დედა, მე არაფერს არ ვნანობ, მე მხოლოთ ვწუხვარ, რომ ველარ ვნახავ პატარა ლედი ჯენს! ქოზენმა გამოაცხადა, აღარ-სად აღარ გაეუშვებო!

— უმადური!—ისევ წყრომით წაიბუტბუტა მოხუცმა. — იმას სიკეთეს უშვებიან—ის-კი, მადლობის მაგიერათ, შეურაცხყოფას აყენებს ადამიანს.

— მართალი რომ ვთქვათ, იმას არც-კი მოუყენებია ჩემთვის შეურაცხყოფა!—მიუგო დიანამ.—იმას საიდან უნდა ცოდნოდა, რომ მე გაკვეთილებში ფულებს არ ვიღებ? რამდენჯერმე კიდეც მომსვლია თავში ის ფიქრი, დედა, რომ გამოვუტყდე ჩვენ უწინდელ ნაცნობებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გაჭირვებაში ვართ ახლა... ისინი მუსიკის და სიმღერის გაკვეთილებს მიშოვიდენ... ფულსაც მეტს ვიშოვიდი, და უფრო სიამოვნებითაც ვიმუშაებდი, ვიდრე ახლა, გასაყიდათ რომ ჭუკებს და იადონებს ვაკეთებ...

— დიანა, დიანა, რას ლაპარაკობ! —აღელვებით წამოიძახა ოტრეევის ქერიემა.—გრაფ ოტრეევის ქალიშვილმა ვიღაც მეფუქნეების შვილებს ასწავლოს, და ისიც ქირით! არა, არა! მაგ დამცირებას მე მირჩევნია შიმშილით სული ამოვხდეს!

ქალმა აღარა უპასუხა-რა.

ცოტა ხანს იქით, რაც დიანამ შენიშნა, რომ დედა მისს ჩაეძინა, ის სტოლთან მივიდა, ნელა გადაატრიალა კლიტე, გამოწია უჯრა, ამოიღო შიგნიდან შავი ხავერდის პატარა ყუთი, გახსნა ის და თვალცრემლიანი დააჩერდა მშვენიერ ოქროს სამაჯურს, სულ ფირუზებით და ბრილიანტებით შემკულს.

— ამასაც უნდა გამოვეთხოვო!—მწუხარეთ წაილაპარაკა მან.— დიდხანს, დიდხანს ვინახავდი ძველი, ბედნიერი დროის სამახსოვროთ... მაგრამ ახლა რაღა გაეწყობა! ოლონდ-კი დედამ არ შენიშნოს, რა საშინელ მდგომარეობაში ვართ... დღესვე წავიღებ ქურდანს... და ვთხოვ, რომ რაც შეიძლება ძვირათ გამიყიდოს ჩემი ლამაზი, ჩემი საყვარელი სამაჯური...

დიდხანს უყურებდა დიანა ძვირფას ნივთს და მწარე ცრემლები ერთი მეორეზე მოგორავდენ მის გამხდარ, ფერმკრთალ ლოყებზე... მერე მან უცებ მიხურა და დაკეტა სტოლის უჯრა, დახურა შავი ხავერდის ყუთი და ხელსაქნარის კალათში ჩამალა ის.

გაიარა ერთმა კვირამ, რაც დიანას ლედი ჯენი აღარ ენახა. ბევრი იწუხა, ბევრი იტირა მან ამ დროს განმავლობაში... მაგრამ ვერაფერი ვერ მოეხერხებინა. მუსიკაც-კი შეიძულა ამ ერთ კვირაში... ერთხელაც აღარ აეხადა პიანონის თავი..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ერთხელ ის ისევ მიუახლოვდა ფორტეპიანოს და დაფიქრებით, წყნარათ დაამღერა ზედ ლედი ჯენის საყვარელი ჰანგი... იმავე წამს, ფანჯრის იქიდან, ქუჩიდან, მას მოესმა ბავშის ნაცნობი, ნაზი და წკრიალა ხმა, რომელიც შეუცდომლათ, ლამაზათ იმეორებდა იმავე ჰანგს.

— ეს ისაა! ეს ლედი ჯენია! — აღტაცებით წამოიძახა დიანამ, წამოხტა ადგილიდან, ფანჯარას მივარდა და უცბათ გააღო დარაბებიც და ფანჯარაც.

ფანჯრის პირ-და-პირ, ქუჩაში, იდგა გამხდარი, ფერმიხდილი ბავში, ოქროსფერი გაშლილი თმით, დიდი, ლურჯი, მოელვარე თვალებით, წყნარი, ფიქრიანი ღიმილით ტუჩებზე და გრძელ-ფეხა, ცისფერი ყანჩით ხელში.

დიანა გამოვარდა კარში, დაიჩოქა ლედი ჯენის წინ და თვალცრემლიანმა დაუწყო მას ხვევნა და კოცნა.

— დიანა! დიანა! რამ გადაგრია, ამ საციეში რომ ფანჯარა გაგიღია? — წყროლმით დაიძახა ამ დროს ოტრევის ქვრივმა, მაგრამ დიანას ამ წამს მისი ჯაერი აღარ ჰქონდა. ის აღტაცებით უკოცნიდა თავის პატარა მეგობარს პატარა ფერმიხდილ სახეს და სიხარულით მოელვარე, დიდ, ლურჯ თვალებს.

— ქალბატონო დიანა! — ნელი ხმით უთხრა ჯენმა დიანას და ორივე ხელი კისერზე მოხვია. — დეიდა პოლინა თქვენსას სიარულის ნებას აღარ მაძლევს. ხომ უნდა გავუგონო, არა?

— რასაკვირველია, ჩემო პატარა, რასაკვირველია! — სიყვარულით მიუგო დიანამ.

— იცით, მე მაინც ყოველ დღე მოვდიოდი ხოლმე ამ ფანჯარასთან... მინდოდა გამეგონა, ხომ არ მღერით... მაგრამ თქვენ არ მღეროდით... თქვენ ოთახებში ყოველთვის სიჩუმე იყო...

— ჩემო პატარა, რა მემღერებოდა! — ისევ თვალცრემლიანმა მიუგო დიანამ. — იმდენი დღე იყო, რომ არ მენახე!

— ნუ ტირით, ნუ ტირით, ქალბატონო დიანა! — სიყვარულით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ორივე ხელი მოჰხვია ქალს პატარა ჯენმა.—მე ხომ თქვენ ისევ ისე მიყვარხართ! ნუ ტირით! მე ყოველ დღე, ყოველ დილას მოვალ ხოლმე თქვენ ფანჯარასთან! დეიდა პოლინა ამას ხომ ველარ დამიშლის!

— არ ვიცი, ჩემო პატარა! ვინ იცის, იქნება მაგაზედაც გაგიჯავრდეს!

— დიანა! დიანა! დახურავ თუ არა ფანჯარას?—ისევ მოისმა ამ დროს ოტრევის ქერივის გულმოსული ძახილი.—ახლავე, ამ წამსვე დახურე! მშვენიერ წარმოდგენას-კი უმართავ ყველა მეზობლებს! შუა ქუჩაში წამოგიჩოქნია პატარა ბავშის წინ! ეგ ლა გაკლდა!

— მშვიდობით, ჯენაცვალე!—სიყვარულით წაულაპარაკა დიანამ ლედი ჯენს და ფეხზე წამოდგა.—დედას არ უყვარს, როცა მე ფანჯარას და დარაბებს გავაღებ ხოლმე... ამას იქით ჭიშკარში გამოგეგებები და უფრო თავისუფლათ ვილაპარაკებთ... მშვიდობით!

ამ სიტყვებით დიანა საჩქაროთ დაბრუნდა ოთახში და მაშინვე ჩაკეტა ფანჯარაც და დარაბებიც.

— უკაცრავათ, დედა!—წყნარათ მიუბრუნდა ის ოტრევის ქერივს, —მაკრამ, რა ვქნა, თავი ველარ შევიკავე! ისე გამეხარდა ბავშის დანახვა...

მართლაც, დიანას სახე მთლათ გაენათებინა ამ წამს გამოცდილ სიამოვნებას და სიხარულს.

— მგონი სულ გადამერია, დიანა!—წყრომით მიუგო დედამ.—წარმოდგენილი მაქეს, როგორ ალაპარაკდებიან ახლა ყველგან, მეზობლებში, ქოზენმა თავის ბავშს ოტრევებთან სიარული დაუშალა, ოტრევის ქალი-კი ქუჩაში გამოვარდა, რომ ბავში ენახაო! ოჰ, დიანა, დიანა! მთელ შენ სიცოცხლეში ეს პირველათ დაიეიწყე, რომ შენ ოტრევების ჩამომავალი ხარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXI

ედრასტ ქოზენი.

ამ უკანასკნელ დროს ქოზენი ძალიან მოწყენილი და დაფიქრებული იყო; ყველა მეზობლები ატყობდენ, რომ მას რაღაც აწუხებდა, მაგრამ ის არავის არ უზიარებდა თავის ფიქრებს.

აწუხებდა-კი ის გარემოება, რომ მისი შვილი, ედრასტი, ერთი თვით სატუსაღოში ჩასვეს, და კიდევ უფრო ის, რომ ედრასტმა საათი გაყიდა.

— ვინ იცის, იქნება ვინმე პოლიციის მოხელემ იყიდა ის საათი, იქნება ამაზე გამოძიება შედგესო!—ფიქრობდა ქოზენი დილიდან საღამომდე.— ახლა ლედი ჯენიც წამოიზარდა... იქნება ლაპარაკი დაიწყოს, გაიხსენოს მთელი თავისი უწინდელი ცხოვრება, დედამის გვარი და სახელები... მადლობა ღმერთს, რომ ოტრეევებს და პეშუს ოჯახობას ჩამოვაცილე... ახლა ქერარს და პეპსისაც უნდა დავაშორო... მაგის ნივთებში მარტო ვერცხლის ყუთი-ღა დამრჩა... ისიც უნდა მოვიცილო თავიდან..

ამასობაში გაიარა 30-მა დღემ და ედრასტი თავის დედასთან დაბრუნდა. გულმოსულმა ქოზენმა მაშინვე საყვედურებით მიმართა, მაგრამ ედრასტმა ისეთი პასუხი მოუხერხა, რომ ქოზენიც-კი დაამშვიდა.

— მერე რა ეუყოთ, სხვისი საათი რომ მქონდა?—მიუგო მან. —მოპარული და წართმეული ხომ არ იყო? ის საათი დედამ თავის ქალიშვილს დაუტოვა... და მე დროებით ვატარებდი, რა იყო ამაში ცუდი? გაყიდვით-კი არაფრით არ გავყიდიდი, ნამეტანი გაჭირვება რომ არ დამდგომოდა... ახლა-კი გარწმუნებთ, დედა, მე სრულებით უნდა შევცვალო ჩემი ცხოვრება და ჩამოვცილდე იმ ხალხს, რომლებმაც სატუსაღომდის მიმახწევ-ნეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სიტყვების გაგონებაზე ქოზენი აღტაცებაში მოვიდა და მაშინვე მშვენიერი სადილი მოუმზადა თავის ერთი თვის მარხულ შვილს.

მართლაც, ამას შემდეგ რასტი სულ სახლში იყო და ყველაფერში ყურადღებით ეხმარებოდა დედას. ქოზენი ამ გარემოებამ ისე ააფრთოვანა, რომ ბოლოს მან გამოუცხადა შვილს, მოდი, მე და შენ ერთათ, ამხანაგურათ გავხსნათ უფრო დიდი მაღაზიაო...

— მერე რა ფულებით, დედა?—შეეკითხა ვაჟი.

— ოო! მაგის ჯავრი ნუ გაქვს, ფულებს-კი ვიშოვი!—ღიმილით მიუგო დედამ. – ნისიათაც ბევრი ვაჭრები მენდობიან!

— ჰო, მაშ თუ აგრეა, ახლავე წადით, დედა, მოილაპარაკეთ დუქნის ქირაობაზე, და ნისიათ სავაჭროს შოვნაზედაც! — მხიარულათ გამოუცხადა ედრასტმა.—მე-კი აქ დავრჩები და მყიდველებს მივიღებ... მხოლოთ ერთ რამეს გთხოვთ, ის ბავში სადმე გაგზავნეთ, წავიდეს თავის ქალბატონ დიანასთან ან ვინმე სხვა ნაცნობებთან. ჭირივით მეზარება, ის რომ თავის გრძელ-ფეხა ყანჩით წინ წამომიჯდება და რამეს გამოკითხვას დამიწყებს...

ქოზენი წამოდგა, დაიხურა შლიაპა და სახლიდან წავიდა, საქმეებზეო, როგორც შვილს გამოუცხადა.

სახლში რომ დაბრუნდა, ედრასტი აღარ დახვედრია. ლედი ჯენმა პეპსის ფანჯრიდან დაინახა დეიდა პოლინა და მაშინვე გამოვარდა ქუჩაში.

— დეიდა პოლინ! — შორიდანვე დაუძახა მან. - რასტმა ეს გასაღები მომიტანა და მითხრა, დედას გადაეცი, რომ მყიდველებმა ძალიან დაპღალეს და გასასეირნებლათ წავედიო.

ქოზენმა ღიმილით გამოართვა ბავშს გასაღები. - მეც-კი ვიცოდი, რომ პირველათ ძალიან მალე დაიღალებოდაო!—გაიფიქრა მან.

ბავში მან ისევ პეპსისთან გაუშვა, თითონ-კი ოთახში შევიდა, შლიაპა მოიხადა და იქაურობას მილაგება დაუწყო, თან სიამოვნებით ღიმებოდა... მას თვალწინ ეხატებოდა დიდი, მშვენიერი მაღაზია, რომელსაც ის და ედრასტი ერთათ გახსნიდენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს ქოზენს გაახსენდა, რომ დღეს სახლის ქირა უნდა გადაეხადნა; მან ამოიღო ქისა და დაუწყო თავის ფულებს თვლა... გამოდგა, რომ გადასახდელ ფულს რამდენიმე დოლლარი უკლდა.

— რა გაეწყობა, ჩემი ბანკიდან უნდა ვისესხო! — ღიმილით წაილაპარაკა ქოზენმა და გამოსწია სტოლის უჯრა, რომლის გასაღებიც მუდამ თან ჰქონდა; მთელი ის ფული, რომელიც ჯენის დედას დარჩა, და მთელი თავისი მოგროვილი ფულიც ქოზენს იქ ჰქონდა შენახული, ძველ ფერჩატკებში ჩატენილი და ათას წვრილმანის ქვეშ ამოდებული.

უეცრათ, უჯრა გამოსწია თუ არა, ქოზენმა შენიშნა, რომ იქ არაჩვეულებრივი არეულობა სუფევდა.

— ღმერთო! — შიშით წაილაპარაკა მან. — ნუ თუ აქ ვინმე ხელს ურევდა? — და მაშინვე თავის ძველ ფერჩატკებს მიეარდა, ერთ წამს გადმოაბრუნა ორივე... ოქროს და ქაღალდის ფულების მაგიერათ ქოზენმა იქ მხოლოთ ერთი პატარა თეთრი ქაღალდის ნაკუწი იპოვა...

ის მოწყვეტით დაეშვა თავის ლოგინზე და ძლივს გაარჩია ქაღალდის ნაკუწზე ნაცნობი ხელით დაჯიბნილი სიტყვები:

„საყვარელო დედა! — წერდა მას რასტი. — მე გადავწყვიტე თქვენ არ შეგიამხანაგდეთ და მთელი ფული მე წავიღო, თქვენ-კი ნისია დაგიტოვოთ. ამას იქით, თუ კიდევ მოგინდესთ თქვენი შვილისაგან იმ ფულის დამალვა, რომელიც იმასაც იმდენათვე ეკუთვნის, რამდენათაც თქვენ — ფერჩატკებში ნულარ დამალავთ, სხვა ადგილი გამოძებნეთ. მე სამოგზაუროთ მივდივარ. ამდენი ხნის ერთ ადგილს ჯდომას შემდეგ ჩემთვის ჰაერის გამოცვლაა საჭირო. თუ ჩვენი მეზობლები რამე ლაპარაკს დაიწყებენ — თქვენ შეგიძლიათ უთხრათ, რომ მე ტეხასში წავედი, ბიძა-ჩემთან“.

„თქვენი მოყვარული და ერთგული შვილი
ედრასტ ქოზენი“.

ედ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუთიყუში და გელურა.

თუთიუში ძალიან გონიერი ფრინველია. ბევრი რამ შეიძლება კაცმა შეასწავლოს მას; ის ბაძავს სხვა-და-სხვა ხმას, ზოგჯერ მთელ სიტყვებსაც ამბობს, მისი საჯმელი ხილი და თესლეულობაა. მწვანე თუთიუში სამხრეთ ამერიკიდან მოჰყავთ, ნაცრის ფერი-კი ალის-ფერი კუდით— დასავლეთ აფრიკიდან.

ამგვარი ნაცრის-ფერი თუთიუში ერთ-ხელ ჰარიზში მოიყვანეს. სახელათ ჯეკი ერქვა. ჯეკი ძალე შეეჩვია ასალ ბინას და ერთ ჰატარა ბელურას ძალიან გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძეგობრდა. ბელურა სწორეთ იმ დროს მოფრინდებოდა ხოლმე, როდესაც თუთიუშის ჯაჭის დრო დადგებოდა და საუზმეს უნახევრებდა, მარცვლებს და ნამცეცებს კენკავდა.

თუთიუშს დილაობით გალიიდან გამოიყვანდენ ხოლმე და გარეთ ხარიხაზე ჯაჭვით მიაბავდენ. იქვე გაჩნდებოდა ხოლმე ბელურაც. დაინახავდა თუ არა ჯეკი თავის მეგობარს, მაშინვე იმ ფეხს, რომლითაც დაბმული არ იყო, გააშვერდა, თითქო ქანდარა არისო, რომ ბელურა ზედ დამჯდარიყო.

ბელურაც ჯდებოდა ტ ერთ ხანს ორივე ფრინველი უძრავათ, გაჩუმებული, იყვენ ხოლმე. თუთიუში თავს გვერდზე მოიქცევდა და ალერსით დაუწყებდა ყურებას თავის ჰაწაწა მეგობარს. ისიც სიხარულით ფრთებს აფრთხიალებდა. მერე თუთიუში ნელა-ნელა თავის საუზმეს მიუახლოვდებოდა, თან თითქო ბელურასაც იპატიჟებდა «ძოდი ერთათ შევექცეთო». საუზმეს შემდეგ თუთიუში გაშლიდა ერთ თავის ფრთას, ბელურა იქ შეიფარავდა თავს და ნისკარტით მოჭყვებოდა თუთიუშის სხეულის წმენდას და ფხანას და თან უხილავდა მწერებს და ამითი დიდათ ასიამოვნებდა ჯეკს... ბელურა ერთი ფრთის გაწმენდას რომ გაათავებდა — თუთიუში მეორე ფრთას მიუშვერდა, ამასაც იმ რიგათვე გაუსუფთავებდა. ბელურა თითქოს გრძნობდა რასაც მოელოდა მეგობარი მისგან და თავის მოვალეობას სიამოვნებით ასრულებდა.

ბოლოს ორივე ფრინველი ერთმანერთს მოუსხდებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენ ხოლმე, თავებს ფრთებ ქვეშ ამოიდებდენ და ისე და-იძინებდენ.

ერთხელ თუთიუში მძიმეთ ავათ გახდა; მისი ბატარა მეგობარი ერთ და იმავე დროს ექიმათაც გადიქცა და მომვლელათაც; გაძწარებულმა ბელურამ ბალში რადაც მცენარეს დაუწყო ძებნა, ბოლოს დაბრუნდა და ნისკარტით ბალახის ღერო მოუტანა ავათმყოფ თუთიუშს; იმანაც მაშინვე შეჯაბა. ასე უზიდავდა ბელურა სამი-ოთხი დღე თუთიუშს ბალახს, სანამ ჯეკი სრულებით კარგათ არ გახდა.

მალე თუთიუშმაც სამაგიერო გადუხადა. ერთხელ, როდესაც ბელურა არხეინათ მარცვლებს კენკავდა თუთიუშის გვერდით ხარისაზე და ვერ ამჩნევდა, რომ დიდი კატა ეპარებოდა, თუთიუშმა დაინახა მეგობრის მტერი და ისე საშინლათ დაიწივლა, რომ კატას შეეშინდა და კუდ-ამოძუებული სწრაფათ გაიქცა.

(რუსულიდან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვის საუკუნის ბავშვები.

თარგმანი.

XIII

ედოს დანიშვნა.

ამ დღეს აქეთია, ედო მარტო ნადირობაზე-კი აღარ ფიქრობდა,—იმისი გული და გონება იქითკენ მიისწრაფოდა, სადაც ფეხ-მარჯვეს მამა ცხოვრობდა; ის ნადირის მაგიერ უფრო იმას ათვალიერებდა, რომ იქნება ეს ლამაზი ქალი შეხვედროდა სადმე იმას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ფეხ-მარჯვე მისი ცოლი იქნებოდა. ახლა სულ სხვა ფიქრებით იყო ის გატაცებული; ის იყო ლონიერი და მარჯვე მონადირე, საკუთარი ოჯახი ჯერ არ გააჩნდა,—ისევ დედ-მამასთან ცხოვრობდა და იქ ცოლის მიყვანა შეუძლებელი იყო, რადგან თითონაც ვიწროთ იყვენ. ედოს უნდოდა, ცალკე ოჯახობა გაეჩინა, ამიტომ ჯერ კარგი მშრალი და მარჯვე გამოქვაბული უნდა მოეძებნა, რომელიც გარეულ მხეცებისაგან იქნებოდა დაცული. მან დაიწყო ამგვარი გამოქვაბულის ძებნა.

ედომ იცოდა ტყეში ერთი ადგილი, საცა ბევრი გამოქვაბული იყო და საცა არავინ ცხოვრობდა, რადგანაც საშიშარი ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. ამ ტყეში ბევრი თხილი და მაღალი ბალახი იყო და გარეული მხეცი ბლომათ დადიოდა საძოვრათ; ამიტომ უფრო ერიდებოდენ ამ ადგილს. ედომ აქ დასახლება გადაწყვიტა. ის ყმაწვილი იყო, ჯერ ლონიერი, თავისი ლონის და სიმარჯვის იმედი ჰქონდა, თავის გამოგონილი შვილდ-ისრისაგან დიდ მომავალს მოელოდა და ამიტომ შეუდგა ამ ადგილას გამოქვაბულის ძებნას, რომელიც მას და მის მომავალ ცოლს გამოადგებოდა.

მალე შესაფერი გამოქვაბული იპოვნა, რამდენიმე დღის მუშაობა მოანდომა, რომ კედლები ჩამოეთალა და გაესწორებინა, იატაკი გაასუფთავა, გაასწორა და კერა ააშენა, თან წყლის ასადუღებელი და ხორცის მოსახარშავი ქვა ამოფურღვნა. მის ბედზე ეს ქვა შიგვე გამოქვაბულში იყო; შესავალი ქვებით ამოქოლა და მარტო თავისი შესასვლელი სვრიტე დასტოვა. გამხმარი ფურცლები მოაგროვა და შეზიდა, ზემოდან ტყავი გადააფარა, ერთი დიდი ქვა მოაგორა, რომ შესავალი კარები დაეხურა. ახლა სულ ყველაფერი მზათ იყო.

მაგრამ ედო აგვიანებდა იმ ქალის მამასთან წასვლას, რომელზედაც ფიქრობდა და ეისთვისაც სახლს ამზადებდა. ჯერ სანამ მამასთან წავიდოდა, უნდოდა თითონ ქალი ენახა და იმასთან მოელაპარაკნა. ერთხელ ნადირობის დროს კაკაბი მოჰკლა, შეჭამა, მერე ხეზე ავიდა, ერთ განიერ ტოტზე წამოწვა და სითბოთი, მშვენიერი სუნნელოვანებით და ფრინველების ჭიკჭიკით სიამოვნებდა. ნელი ნიავი დიდრონ გვიმრის ტოტებს ოდნავ არხევდა. ედო შორს იყურებოდა და უეცრათ შეკრთა, რადგანაც ფეხ მარჯვე დაინახა.

ქალი ერთ დიდ ხის ტოტზე იჯდა და ქანაობდა; ედომ სიხარულით წამოიყვირა, საჩქაროთ ხიდან გადმოხტა და ქალთან მიეიდა. ქალმა ედო მაშინვე იცნო, მაგრამ მოულოდნელი შეხვედრით შეშინდა, თუ თავის სახლის მოშორებით უცნობ ადამიანთან მარტოკა დარჩენა არ უნდოდა, გადმოხტა ტოტიდან და გაიქცა; ედო უკან გამოეკიდა, მაგრამ ვერ დაეწია; იმ გორამდის გაჰყვა, საცა იმათი სახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი იყო, და მერე ჩამორჩა, რადგან მოერიდა, რომ მამა მისს, ანდ მის ძმებს არ დაენახათ.

რამდენიმე დღემ გაიარა და ედომ გადაწყვიტა, ძველ მონადირესთან მისულიყო და ქალი ცოლათ ეთხოვა. ფეხ-მარჯვე დარწმუნებული იყო, რომ ედო იმის წასაყვანათ მოვიდოდა და მოუთმენლიათ მოელოდა. ის გორაკზე გადმომჯდარიყო და ბილიკებს უყურებდა; ბოლოს მოლოდინი აუსრულდა,—ერთ ბილიკზე ედო დაინახა; ის ხელმეორეთ გაიქცა, მამა მისი-კი ალერსიანათ შეხვდა, როდესაც ედო იმასთან მივიდა. ფეხმარჯვეს მამა ედოს მამას კარგათ იცნობდა; ისიც გაეგონა, რომ იმის უფროსი შვილი მარჯვე და კარგი მონადირე იყო, და ეს სრულებით საკმარისი იყო, რომ თავისი ქალი ცოლათ მიეცა. ყმაწვილმა კაცმა და ქალმა მარტო ახლა გასცეს პირველათ ერთმანეთს ხმა, ედომ უამბო ფეხ-მარჯვეს, გამოქვაბული მზათა მაქვს და ახლავე შეგვიძლია წასვლაო. და ამას შემდეგ ისინი მალე წავიდენ კიდეც თავის გამოქვაბულში.

XIV

ახალ ადგილზე.

ედო და ფეხ მარჯვე სრული ბედნიერი იყვენ თავის ახალ სახლში, მაგრამ გარეული მხეცები მოსვენებას არ აძლევდენ და მუდამ შიშში იყვენ. მეორე დღესვე, როდესაც ისინი იქ დასახლდენ, კინალამ გვირაბის დათვის მსხვერპლი გახდენ. ედო ცოლს უჩვენებდა თავის გამოგონილ შვილდ-ისარს და სროლით ისე გაერთენ, რომ სიფრთხილე დააკარგვინეთ და თავის სახლს დიდ მანძილზე მოშორდენ. იმ დროს, როდესაც ფეხ-მარჯვეს შვილდი ეჭირა და ედო ისარს უსწორებდა, ცოტა მოშორებით რაღაც ბანჯგვლიანი მხეცი დაინახეს; სახლში გაქცევა გვიანლა იყო და ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე ხეებზე აცოცდენ: ფეხ-მარჯვე მაღალ ფიჭვზე და ედო-კი თხმელაზე. თუმცა ცოლ-ქმარი ერთმანეერთზე შორს არ იყვენ, მაგრამ მაინც ფეხ მარჯვემ შვილდი ვერ გადასცა ედოს. მხეცები ხის ძირში დადიოდენ, ხეზე ასვლა-კი არ შეეძლოთ. ისინი ედოსა და მის ცოლს გაბრაზებული შესცქეროდენ. ედო და ფეხ-მარჯვე დასაძინებლათ მოეწყვენ; ორი ტოტით ხეზე მიიკრეს თავი და ისე დაიძინეს. როდესაც ედომ გამოიღვიძა, გათენებულიყო და დათვები-კი იმავე ადგილას იწვენ. ედო გამოეხმაურა ფეხ მარჯვეს, რომელსაც ჯერ კიდევ ეძინა, და როდესაც ის გონზე მოვიდა, უთხრა: ჩემთან ხეზე გადმოხტიო. თუმცა დიდი განსაცდელი მოელოდათ, ერთი ფეხი რომ ასცდენოდა ფეხ-მარჯვეს დათვის ლუკმა გახდებოდა, მაგრამ ედომ გადაწყვიტა: ასე შიმშილით დავიხოცებითო; თავისი ლონის და ცოლის სიმარჯვის იმედი ჰქონდა. ფეხ-მარჯვე ქმარს დაემორჩილა,

მთელი თავისი ძალ-ლონე მოიკრიფა და ისე ლონივრით გადახტა, რომ კინაღამ ორივე გადმოცვივდენ. როდესაც დაწყნარდენ, ედომ ერთი ისრის ტყორცნით დიდი დათვი მოჰკლა და, როდესაც ის ყალყზე წამოვარდა, დედალ დათვს დაუნიშნა მეორე ისარი და ისიც ისე დაჭრა, რომ პატარა მანძილის გავლაც ვერ მოასწრო, იქვე მოკვდა. მაგრამ მაინც კიდევ დიდ ხანს ვერ შეეიდენ თავის გამოქვაბულში, რადგანაც ხვად დათვს უნდოდა, შემძვრალიყო შიგ, ვერ მოასწრო და ზედ კარებზე სული ამოუვიდა. რამდენიმე დღემ გაიარა, ვიდრე ედო და ფეხ-მარჯ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე თავის სახლის შესავალს გაათავისუფლებდენ. ამ დროს განმაუ-ლობაში ისინი გარეთ იყვენ, სულ ცეცხლი ენთოთ და ერთმანეთს უდარაჯებდენ. ამ დღიდან ედომ განიზრახა იმისთანა ადგილას გადასახლება, საცა გარეული მხეცების შიში უფრო ნაკლები იქნებოდა.

იმას მოაგონდა ცეცხლის ქვეყანა, რომელზედაც მოკა უამბობდა ხოლმე და ამ ქვეყნის პოვნა გადაწყვიტა. ფეხ-მარჯვე იმდენათ ულშიშარი და მამაცი იყო და ისე მარჯვეთ ისროდა შვილდ ისარს, რომ იმისი მარტო დატოვება ედოს არ ეშინოდა. იმან იცოდა, რომელ მხარეზე იყო ეს ქვეყანა და, როგორც ყველა იმ დროის მონადირეს, გზის პოვნა ადვილათ შეეძლო. დღით ის მზის შუქზე მიდიოდა, ნადირს ჰკლავდა, ცეცხლზე წვავდა და ისე იკვებებოდა, ღამე ხეზე ეძინა. ბოლოს დაინახა დიდი ველი, რომელსაც გარშემო თითქოს ცეცხლის კედლები ერტყა. ეს ველი მაღალი მთებით იყო შემოზღუდული; მთებში გამოქვაბულები არ მოჩანდა. იქ გვირაბის გათხრა ადვილი იყო, თბილოდა, ჭაობი არ იყო და გარეული მხეცებიც ცეცხლის შიშით ახლო არ ეკარებოდენ.

როდესაც ედო უკან დაბრუნდა, ფეხ მარჯვეს გადასახლების გადაწყვეტილება გამოუცხადა და დაარწმუნა, რომ იქ ცხოვრება უფრო ადვილი და ულშიშარი იყო; მაგრამ ფეხ მარჯვე უიმისოთაც წაჰყვებოდა ყველგან, საცა-კი ედო მოინდომებდა.

როგორც-კი ველზე გადმოსახლდენ, გვირაბის თხრას შეუდგენ, მაგრამ არ ჩქარობდენ, რადგან უიმისოთაც ძალიან თბილოდა და ულშიშრათ იყვენ. ბოლოს გვირაბიც მზათ იყო; ბალე ახალგაზდა ცოლ-ქმარს ვაჟიც დაებადათ, რომელსაც პატარა მოკა დაარქვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XV

დიდი ნაგიჯით წინ.

ედო და ფეხ-მარჯვე მარტოკა დიდხანს არ დარჩენილან; იქ ბევრი ადგილი იყო და ყველას ეყოფოდა, მალე მოხუცი მოკაც ედოსთან გადმოსახლდა; მოკას ცალკე გვირაბი გაუკეთეს, რომ თავისუფლათ ემუშავნა და ისრები და შუბის წვერები გაეკეთებინა. შემდეგ ედოს დედ-მამაც თავისი შვილებით გადმოსახლდენ. იმათ მოჰყვა ფეხ-მარჯვეს მამაც თავისი ახალგაზდა ცოლით და ორი ვაჟით. ამგვარათ ბევრი მოკროვდა ერთათ და ყველას საქმე მარჯვეთ მიდიოდა, რადგან ერთმანეთს ეწეოდენ. აქვე ახლოს ორ ვერსზე მიდიოდა პატარა ნაკადული, რომელიც დიდ მდინარეს უერთდებოდა და ამ წყალში აუარება თევზი იყო. ტყეში ბევრი ნადირი მოიპოვებოდა, ამას გარდა ტყის ხილიც ბლომათ იყო. გარეული ფუტკარი თავისუფლათ ყვავილებზე დაფრინავდა, ხის გამოფუღრულში თაფლს აკეთებდა და თაფლიც ყოველთვინ ჰქონდათ ჩვენს მოსახლეებს. წელიწადი წელიწადზე მიდიოდა, ხალხი თან და-თან მრავლდებოდა და ჭკვიანდებოდა. იმათ იმისთანა გამოცდილი მონადირეები ჰყავდათ, როგორც მოკა და ფეხ-მარჯვეს მამა. ამათ შეჭწეობით და რჩევით ადვილათ შეეძლოთ საშიშარ მხეცებს თავზე დასცემოდენ. მხეცების რიცხვიც თან-და-თან კლებულობდა და ბოლოს ისე შემცირდა, რომ ბავშებსაც-კი უშიშრათ შეეძლოთ ტყეში სიარული.

ჯერ ყველანი გამოქვაბულში ცხოვრობდენ, მაგრამ ზაფხულში ძალიან ცხელოდა. ერთხელ, როდესაც ედომ სიცხისაგან რამდენიმე ღამე ვერ დაიძინა, ფანჩატურის გაკეთება მოიგონა ხის ტოტებისაგან. ეს იყო კაცისაგან აშენებული პირველი სახლი. სხვებს ეს მოეწონათ და ამგვარივე ქოხები გაიკეთეს. როცა დაზამთრდა, ისევ გამოქვაბულში გადასახლდენ, ზოგმა-კი მხეცის ტყავები შემოახვია გარშემო ფანჩატურს და მთელი ზამთარი იქ გაატარა; ამ სადგომებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში უფრო სუფთა და მშრალი ჰაერი იყო, რადგან კედლებიდან და ჭერიდან წყალი არა წვეთდა.

მცხოვრებლების რიცხვი დღითი-დღე მრავლდებოდა. ყოველი სახლის პატრონი იმას აკეთებდა, რაც უნდოდა, მაგრამ გარეულ მხეცებზე სანადიროთ-კი ყველა ერთდებოდა. რაც უფრო მცირდებოდა ამ ველზე დიდრონი მხეცების რიცხვი, სხვა გვირაბების მცხოვრებლები მოდიოდენ, თან ტყავი, კაჟი და მამონტის ეშვები მოჰქონდათ და მოკას გაკეთებულ იარაღზე და მეტადრე შეილდ-ისარზე ცვლიდენ.

ერთმანეთის შემწეობით ბევრი ახალი და სასარგებლო რამ გამოიგონეს. კიდევ ერთი საჭირო საშუალება გამოიგონა მოხუცმა მოკამ, იმიტომ-კი არა რომ ის ყველაზე ჭკვიანი იყო,—იმიტომ რომ ის მარტო განსაკუთრებით იარაღის კეთების ხელობას ადგა და იმის გაუმჯობესობას ცდილობდა. ერთხელ ედო მოვიდა და შეჩივლა; ახლო მანძილიდან რაც ძალი და ღონე მქონდა ირემს ისარი ვტყორცნე, ის მაინც გამექცა და სანამ მოკვდებოდა, ბევრი დევნა დამჭირდაო.

— ეს იმიტომ მოხდა, რომ ირემს ისარი ღრმათ არ ჩაერჭო ტანში! —უთხრა ედომ. ის თანასწორათ არ არის გაქლიბული. განა შეიძლება ასე უხეიროთ გაკეთებული ისრით კარგათ სროლა? თუ მოკა, ჯერ, ძალიან არ დაბერებულხარ, გამოიგონე იმისთანა საშუალება, რომ ისარი სწორი და უხორკლო იყოს.

მოხუცი მოკა ჩაფიქრდა, დიდხანს დადიოდა წყლის ნაპირას და რიყის ქვებს დასცქეროდა, დიდხანს ფიქრობდა იმაზე, თუ საიდან კეთდებოდა ეს სიპი ქვა. ბოლოს დააკვირდა, რომ ეს ქვები ერთმანეთს და ქვიშას ეხახუნებოდენ წყლის შემწეობით. მაშინ აიღო ერთი ქვა, შუაში ამოუურღნა, შიგ სველი ქვიშა ჩაჰყარა, ისრის წვერი ჩადვა და იმდენი ატრიალა, მანამ ისრის წვერი არ გასწორდა და ხორკლები არ მოშორდა.

ახლა უწინდელი ხორკლიანი უსწორ-მასწორო იარაღის მაგივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათ—სწორი და კარგათ გაქლიბული. იარაღის ხმარება დაიწყეს.

როდესაც ისრების, ცულების, შუბების და დანების გაჩარხვა ისწავლეს, მაშინ ამ ახალი იარაღით მუშაობა უფრო ადვილი იყო. უწინ მეთევზეები ხის ტოტებისაგან წნავდენ ტივებს და ძითი დადიოდენ მდინარეზე. ამგვარ ტივებზე ღრმა წყალში სიარული არ შეიძლებოდა. ერთხელ სხვილი ხე შუაში ამოჭრეს, ცეცხლით ამოწვეს და ცულით შეასწორეს; შემდეგ წყლის მოსასმელი ნიჩაბიც მოიგონეს ამ ნავების სატარებლათ. თევზის საჭერი ანკესები, ბადეები და ხოჭები გააუმჯობესეს, ბადეს ჭაობის მცენარიდან ქსოვდენ. მჭრელმა იარაღმა და ნავების გამოგონებამ ძალიან შეამსუბუქა ადამიანის მდგომარეობა და ახლა უწინდელსავით აღარ უჭირდათ ცხოვრება. ედოს შვილები ისე საშიშარ მდგომარეობაში აღარ იყვენ, როგორც მათი მამები, იმათ არც კი სჯეროდათ, რომ ადამიანს მღვიმეში, გარეულ მხეცებთან ახლოს, ცხოვრება შეეძლო როდესმე. ახლა ხედავდენ, რომ მარტო ადამიანთან ცხოვრება შეიძლება, რომ ერთი-ერთმანეთის შემწეობით და შველით ისარგებლონ, ხედავდენ რომ ადამიანი მარტო მაშინ არის ღონიერი და ძლიერი, როდესაც მშვიდობიანათ და მეგობრულათ ცხოვრობს სხვასთან.

ეკ. მ—სა.

(დასასრული)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე გ ო ბ ა რ ი.

ასო იყო საწყალი გლეხის შვილი, სრულიად ობოლი. ცხოვრობდა თავის ძალო სალომესთან, რომელიც ძალიან ცუდათ ეპყრობოდა, ხშირათ უმიზეზოთ უჯავრდებოდა და თავში უტყაპუნებდა, ცოტას აჭმევდა და გლახათ აცმევდა. ღამით ვასოს ეძინა ერთ პატარა ბნელ, ნახევრათ მინგრეულ ოთახში. ბავში სულ მარტო, უამხანაგოთ იყო, ხშირათ მოწყენილი, ჩაფიქრებული. ერთ-ხელ სალომემ ის ტყეში გაგზავნა ფიჩხის მოსატანათ. გზაზე საშინელი სიცხე იყო, ტყეში-კი ბევრი ჩრდილოები — და გრილოდა. გარშემო სიჩუმე იდგა, არსიდან ადამიანის ხმა არ მოისმოდა, მხოლოთ ხეების ფოთლებს ნიავი აშრიალებდა. ჩვენი ვასო არაფერზე არ ფიქრობდა; ის გულმოდგინეთ აგროვებდა ფიჩხს და ალაგებდა ტომარაში. მალე ისე გაავსო, რომ ძლივს-ღა მოიკიდა ზურგზე და ის იყო უნდა გამოსულიყო ტყიდან, რომ თავზე გადუარა უცებ ძერამ და დაეშვა ერთ ადგილას. ამავე დროს ბავშმა გაიგონა რაღაც ხმაურობა. მივიდა ახლოს და დაინახა ოდნავ შებუმბლული ჩიტის ბარტყი; ეტყობოდა ბუდიდან გადმოვარდნილიყო, თუ ვილაცას გადმოეგდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საწყალო ჩემო ჩიტო!—წამოიძახა უცებ ვასომ და საჩქაროთ ხელში აიყვანა.

ძერამ შეამჩნია-რა, რომ წაართვეს დამზადებული საუზმე,—უკმაყოფილოთ შემოიქნია ფრთები და თვალს მიეფარა. ვასომ-კი ჩიტი უბეში ჩაისვა, წამოიკიდა ტომარა, რომელიც ისე მძიმეთ აღარ ეჩვენა, და სიხარულით გასწია სახლისკენ. ამ დღიდან ყმაწვილი მარტოობას აღარ გრძნობდა და არც ნაღვლობდა,—მას ჰყვანდა ახლა მეგობარი; იპოვნა სადღაც კალათა, აავსო ბუმბულით და ჩასვა შიგ თავისი საყვარელი ჩიტი, კალათა-კი თავის ოთახში ჩამოჰკიდა. ძალო სალომეს ძალიან ეჯავრებოდა ეს მისი ახალი მეგობარი, მალმალ დაემუქრებოდა ხოლმე კატის კლანჭებში ჩაგდებას. ეს მუქარა საშინელ შიშის ზარს ჰგვრიდა ვასოს,—ყოველ ღამ მაგრა კეტავ და თავის დანგრეულ ოთახის კარებს...

გავიდა ცხელი ზაფხული, დადგა შემოდგომა დაიწყო, სიცივეები, წვიმიანი დღეები გახშირდა. ქარის ზუზუნიც ხშირათ ისმოდა.

ჩიტი-კი კარგათ, თბილათ იყო თავის ბუდეში, მას არაფერი აფიქრებდა. ძალიან მალეც გაიზარდა. შემოდგომას მოჰყვა ცივი, თოვლიანი ზამთარი და ზამთარი გაზაფგულმა გაისტუმრა.

გათბა ისევ ჰაერი, წელში გაიშალა დიდი და პატარა. ვასომაც პირველათ გამოიყვანა ჩიტი გარეთ. უცებ, ერთი თვალის დახამხამებაზე, ჩიტი ხელიდან გაუსხლტა და სადღაც გაჰქრა. ვასოს შიშისგან თვალთ დაუბნელდა.

— ნუ თუ მართლა მომშორდა ჩემი მეგობარიო? მწუხარებით წამოიძახა მან.

მაგრამ დიდხანს არ გასტანა მისმა დაღონებამ, აგერ შორს გამოჩნდა ჩიტი, თან და-თან მოახლოვდა და უცებ ვასოს თავზე დააფრინდა. ამ დღიდან ჩიტი ხშირათ დასეირნობდა თავისუფლათ საითაც მოისურვებდა და თავის დროზე-კი მეგობართან ბრუნდებოდა. ერთხელ ძალო სალომემ ნამეტანი ბევრი ამუშავა ვასო, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც ისე დაიღალა, რომ ფეხზე დადგომის თავი აღარ ჰქონდა და ჩვეულებრივზე ადრე დაწვა დასაძინებლად. ოთახის ფანჯრის დახურვა სრულებით გადააავიწყდა. ღია ფანჯრიდან უბერავდა გრილი ნიავი, პირ-და პირ თავ-პირში სცემდა, ამან ვასო მალე გამოაღვიძა. ყმაწვილი წამოხტა საჩქაროთ და მივიდა კალათასთან მეგობრის სანახავათ, მაგრამ ვაი მის გაოცებას, რომ კალათა ცარიელი დახვდა! ამავე დროს მოისმა შორიდან მშვენიერი გალობა ბულბულისა; ბავში დაღონებული, დაძმარებული იჯდა ლოგინზე, ყურს უგდებდა გალობას, თან მდუღარე ცრემლებს ღვრიდა. ის დარწმუნებული იყო, რომ კატა მოიტაცებდა ღია ფანჯრიდან მის საყვარელ ჩიტს. გაუტყდა ძილი საწყალ ვასოს, დარდიანი გამოვიდა გარეთ, ეზოში, და დაიწყო ფიქრი ისევ თავის ჩიტზე. გარშემო სიჩუმე იყო, ყველას—დიდს თუ პატარას, ტკბილი, მშვიდობიანი ძილით ეძინათ, მთვარესაც მოსწყენოდა მარტოობა და ისიც ნელ-ნელა დასაძინებლათ ემზადებოდა. შესწყდა წელანდელი ბულბულის გალობაც. უცებ რაღამაც დაიფრთხიალა ვასოს ახლო და გამოჩნდა მისი ჩიტი.

— „ცოცხალია, ცოცხალი, სად იყავი აქამდის, ჩემო ჩიტო, რათ დამაღონე, რათ მაღვრევინე ცრემლები", ეუბნებოდა გახარებული ბავში თავის მეგობარს.

ჩიტმა რაღაც დაიჭიკჭიკა, თითქოს ბოდიში მოიხადა პატრონთან, შემდეგ აფრინდა, დაჯდა იქვე მახლობლათ ერთ ხეხილზე... აგერ მოისმა ისევ მშვენიერი გალობა... ვასომ მხოლოთ ახლა გაიგო, რომ მისი საყვარელი ამხანაგი—მშვენიერი მგალობელი ბულბული იყო.

მეორე დილით მეზობელმა ელისაბედმა უთხრა სალომეს, რომ წუხელის მის ბაღში ბულბული მოფრინდა და მთელი ღამე გალობა არ შეუწყვეტია. ვასომ ეველარ მოითმინა და ამაყათ წამოიძახა, რომ ის მგალობელი ბულბული მისი მეგობარი იყო.

ერთ საღამოს ატყდა საშინელი ელვა და ჭექა-ქუხილი; ამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰყვა კოკის-პირული სხვილი წვიმა. ადამიანმა თუ პირუტყვმა ყველამ თავ-შესაფარი მონახა. ამ დროს ძალო სალომეს ქოხთან გაჩერდა ეტლი, საიდანაც საჩქაროთ გადმოვიდენ მოხუცი ქალი და პატარა ბავში, სწორეთ ვასოს ხნისა. ბავშს ხელში მინდვრის ყვავილების თაიგული ეჭირა. გაოცებული სალომე მიეგება მათ.

— არ შეიძლება შეგვაფაროთ თქვენთან ცოტახანს, ვიდრე წვიმა გადიღებდეს? – მიმართა ტკბილი ხმით მოხუცმა ქალმა სალომეს.

სახლის პატრონმა მაშინვე შეიწვია სახლში და გაუმასპინძლდა. ვასო მორცხვი ხასიათის ბალღი იყო. დაინახა თუ არა უცხოები, შეიდა თავის პაწია ოთახში და გამოსვლას აღარ აპირებდა. მაგრამ მალე მოესმა სალომეს ძახილი, ადგა, გაისწორა თავისი დაგლეჯილი ხალათი და თავ-ჩაღუნული გავიდა სტუმრებთან. მოხუცმა ქალმა მიიყვანა თავისთან ვასო და მიეალერსა. შემდეგ მიუბრუნდა მასპინძელს და უთხრა: რა კარგი ბალღი გყოლიათ, ხომ თქვენი შვილია?

— რა ბრძანებაა!—უპასუხა სალომემ,– ობოლია, ქვეყანაზე არავინ მოეპოვება, მე ავიყვანე, ვპატრონობ, ვაცმევ და ვინახავ.

— გაიკანით, ბავშებო, ერთმანეთი! — უთხრა მოხუცმა ვასოს - ეს არის ჩემი შვილი-შვილი, შენსავით ობოლია; ამის მეტი მეც არავინ მყავს, მარტოობას ჩივის ხშირათ და მთხოვს ხოლმე ვუშოვნო საღმე ტოლი, რომ ამხანაგობა გაუწიოს. ხომ მართალია, ჩემო სანდრო? – მიუბრუნდა ბებია შვილი-შვილს.

— მართალია, მართალი, საყვარელო ბებიავ, და აი ეს იქნება ჩემი ამხანაგი, წავიყვანოთ ჩვენსა,—ამ სიტყვებით მოხვია ბავშმა ხელი ვასოს და მიუყვანა ბებიას.

— მე თანახმა ვარ, შვილო, წავიყვანოთ და შენთან ერთათ ამასაც ვასწავლოთ წერა-კითხვა, შემდეგ სასწავლებელში მივაბაროთ.

ვასოს სახე გაუბრწყინდა ამ სიტყვების გაგონებაზე, თავში სასიამოვნო ფიქრებმა გაურბინეს ამ მომავალ ბედნიერებაზე. არა ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელ უნატრია ვასოს სკოლაში სიარული და სწავლა. რამდენჯერ სიშურით გადუვლია თვალი სასწავლებელში მიმავალი ბავშვებისთვის, თვალი დარჩენია მათ ზურგზე წამოკიდებულ წიგნებით სავსე აბგებზე და მწარეთ ამოუოხრია... ერთხელ სიზმარშიაც-კი ნახა, რომ სკოლაში მიებარებინათ და წერა-კითხვა დაეწყო; მეტის მეტი სიხარულით ტიროდა კიდეც... ძალო სალომეს-კი სკოლის ხსენებაც არ უნდოდა ვასოსთან. ახლაც მიუბრუნდა სტუმარს და უთხრა:

— არა, ქალბატონო, სკოლა რა ამის საქმეა, შინ უმისოთაც ბევრი საქმეები აქვს. მომავალი წლიდან უნდა მეცხვარეთ გავგზავნო.

— ძალიან სამწუხაროა! — თქვა ბებიამ და მეხედა სანდროს, რომელსაც თვალები ცრემლებით აევსო ამ ლაპარაკზე.

ვასოც დაღონებული იდგა და ჯავრი მოსდიოდა თავის უგულო ძალოზე.

წვიმა სრულებით არ კლებულობდა და აღარც იმედი იყო გამოდარების. ბებიას სახლი-კიკარგა შორს იყო. ასე რომ სტუმრებმა ნება ითხოვეს — ღამეც აქ გაეთენებინათ და ასეც მოიქცენ... აგერ შუალამე გავიდა და წვიმამ მხოლოთ მაშინ გადიღო; ღრუბლები გაიფანტენ, მთვარემ ამოაშუქა და მოწმენდილი ცაც ვარსკვლავებით მოიჭედა. მოისმა ამ დროს სალომეს ბაღიდან საამური გალობა ბულბულისა, რამაც უცებ გამოაღვიძა მოხუცი სტუმარი. დიდი ხანი იყო მას აღარ გაეგონა ეს ტკბილი ხმა, — წამოჯდა ქვეშაგებში და სმენათ გადიქცა, თან თვალებიდან ცრემლები ღაპა ღუპით ჩამოსდიოდა. მას მოაგონდა თავისი სიყმაწვილე; ის დრო, როდესაც დაღმენჭილი პირისახის მაგიერ — ლოყები წითლათ ულვიოდენ, ჭალარა თმის მაგიერ შავი ხუჭუჭი თმა მხრებზე ჰქონდა გადაფენილი, ნაღვლიანი გულის მაგიერ — მხიარული, უდარდელი გული ჰქონდა. რამდენი მწუხარება, რამდენი უსამართლობა გამოსცადა მან შემდეგ!..

— ბები, შენ ტირი მგონი! — მოესმა ამ დროს მას შვილი-შვილის ხმა; სანდრო სულ-განაბული ყურს უგდებდა ბებიას მწარე ქვითინს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, შვილო, მე ყურს ვუგდებ ბულბულის გალობას; დიდი ხანია მას შემდეგ... მე პატარა ვიყავი და ჩვენ ბაღში, აი სწორეთ ასე ტკბილათ გალობდა ხოლმე ბულბული, მას შემდეგ-კი აღარსად გამიგონია. დაიძინე, ჩემო კარგო, ნუ გაიფრთხობ ძილს!

ამ სიტყვებზე სანდრო მეორე გვერდზე გადაბრუნდა და განაგრძო თვისი ტკბილი, უდარდელი ძილი...

გათენდა დილა. მზემ ნამიანი ბალახი, ყვავილები და ხის ფოთლები საამურათ აანჭყვრიალა. ყველა სიხარულით მიეგება ამ მშვენიერ დილას. სალომეს ქოხშიაც კარგა ხანია გამოიღვიძეს. სტუმარ ქალს ისევ ყურში ესმოდა ბულბულის ტკბილი ხმა.

— წუხელი მთელი ღამე ბულბულის საუცხოო გალობა მესმოდა! — უთხრა ჰასპინძელს მოხუცმა; — მისი დაჭერა რომ შესაძლებელი იყოს, არ დავიშურებდი სამ თუმანს!

— ნუ თუ მართალს ბძანებთ, ქალბატონო, მაგას? — გაკვირვებით შეეკითხა სალომე.

— რასაკვირველია, მართალს ვამბობ! — მიუგო ბებიამ, — მე დიდი ხანია სურვილი მაქვს ბულბული ვიშოვო, მაგრამ ისეთი, როგორიც მე მინდა, ვერსად ვიშოვნე.

სალომემ ამ სიტყვებზე მიიხედ-მოიხედა, დაინახა, რომ ვასო იქ არ იყო და მიუბრუნდა სტუმარს:

— მე ხვალვე მოგიყვანთ იმ ბულბულს.

შუადღისას სალომეს სტუმრები წავიდენ შინ. ვასო ძალიან დაღონებული დარჩა; გული უჯდებოდა და თვალებზე ცრემლები მოსდიოდა.

— რა გაღრიალებს, შე მუქთა-ხორა! — შეუბღვირა ბავშს სალომემ.

— მე მინდა იმ კეთილ ადამიანთან წასვლა და წერა-კითხვის სწავლა! — უპასუხა ნელი ხმით, თავ-ჩაღუნულმა ვასომ.

— რა მოგიგონია ეგ, შე უმსგავსო შენა, გიჩვენებ მე წიგნების კითხვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სიტყვებზე მაგრათ ყურში ხელი წაავლო და საწყალი ბავში თრევით წაიყვანა ბნელ სარდაფში, დაამწყვდია შიგ და კარები გამოუკეტა. მერე დაიწყო ფიქრი, თუ როგორ მოამწყვდიოს და დაიჭიროს ვასოს ბულბული. აგერ ფრინველი შემოფრინდა ვასოს ოთახში იმ იმედით, რომ მეგობარს ნახავდა, მიეალერსებოდა, მარა მის მაგიერ ბოროტი სალომე დახვდა და იმის ხელში ჩავარდა. სალომეს სიხარულით ხელები აუკანკალდა, სამი თუმნის მიღების მოლოდინი დიდ სიხარულს აგრძნობინებდა. ჩასვა ბულბული წინათვე დამზადებულ გალიაში და გულიც დაიმშვიდა. პატარა ვასო-კი ბნელ სარდაფში იჯდა და მისი ფიქრები სულ საყვარელ ბულბულისკენ მიჰქროდენ, ეს იყო ერთათ-ერთი მისი მეგობარი ბ ნუგეში, მხოლოთ მას შესჩივლებდა ხოლმე თავის დარდს და ნაღველს, მარტო მისგან ელოდა თანაგრძნობას: თავის მეგობარს უამბობდა ძალოს უსამართლო საქციელს. ისიც მოუსმენდა ხოლმე და თანაგრძნობის ნიშნათ მას მხარზე დააჯდებოდა, ნისკარტს ტუჩებთან მიუტანდა და კბილებში ჩაუკაკუნებდა!..

გავიდა ხანი და სალომემ გული მოიბრუნა,—ვასო ოთახიდან გამოიყვანა. ბავში მაშინვე მეგობრის სანახავათ თავის ოთახში გაიქცა, მაგრამ კალათა ცარიელი დაუხვდა. მერე ტყისკენ წავიდა საძებნელათ, დიდხანს დარბოდა ტყეში, ბევრი ეძახა, ბევრი უშტვინა, მარა პასუხი არავინ გასცა. დაღონებული, ჩაფიქრებული დაბრუნდა სახლში, პოენის იმედი-კი კიდევ ჰქონდა. დაღამდა ეს დღე და გათენდა მეორე, მაგრამ ბულბულის ხსენება აღარსად იყო. ძალიან დაღონდა ჩვენი ვასო,—მორთო გულ საკლავი ქვითინი; ახლა-კი გრძნობდა, რომ მისი მეგობარი სამუდამოთ სადღაც გაქრა და თავის-თავს ხელ-ახლათ დაობლებულს ხედავდა. რას იფიქრებდა ვასო, რომ იმისი ძვირფასი მეგობარი ერთ მდიდრულათ მორთულ სახლში იყო მშვენიერ გალიაში ჩამწყვდეული.

მას შემდეგ, რაც სალომემ სანდროს ბებიას ბულბული მიჰგვარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მან-კი გალიაში ჩასვა, —ფრინველს ხმა აღარ ამოუღია, პირი არ გაუღია არც საგალობლათ და არც საჭმელათ. ფრინველი სწუხდა დაკარგულ თავისუფლებას და პატარა მეგობრის დაშორებას. ბებიას გული მოსდიოდა სალომეზე, დარწმუნებული იყო, რომ მან მოატყუა, იმ ბულბულის მაგიერ, რომელიც ისე მშვენიერათ გალობდა იმ ღამეს, —სხვა მიჰყიდა. დაიბარა სალომე რამდენსამე დღეს შემდეგ და უთხრა:

— წაიყვანე შენი მუნჯი ბულბული და დამიბრუნე ჩემი ფულები; ეს ის ბულბული არ არის, რომელსაც დამპირდი! – დაუმატა მრისხანეთ მოხუცმა.

სალომე მოჰყვა ტირილს, თან ფიცს, რომ თავისი ხელით დაიჭირა სწორეთ ის ბულბული; რომ ფულის დაბრუნება მას არ შეუძლია, რადგანაც დახარჯა კიდეც. ამას სალომე ტყუილს ამბობდა,—იმას სამი თუმნისთვის ერთი გროშიც არ მოეკლო, ძონძში მაგრათ გამოკრული ღამე თავით ედო და დღე უბეში. ბებია-კი ერთსა და იმავეს იმეორებდა: წაიყვანე შენი ფრინველი, მე ჩემი ფული მომეცით. გაბრაზებული სალომე გამოვიდა ქუჩაში და თავის სახლისკენ გასწია. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა თუ არა, მოესმა უკანიდან ფეხის ხმა. ეს იყო სანდრო, რომელმაც უცებ სალომეს კალთას ხელი წაავლო და სიხარულით უთხრა: ბებია ამბობს, რომ თუ შენ ვასოს ჩვენ მოგვცემ ყველაფერს გაპატიებს და შემდეგშიაც ყოველთვის დახმარებას გაგიწევსო. დიდხანს აღარ უფიქრია სალომეს, ამჯობინა ვასოს მიცემა, ვიდრე იმ ფულების დაბრუნება და საჩქაროთ უთხრა:

— კარგი, მაშ მოგიყვანთ ხვალვე ყმაწვილს...

ძნელათ თუ წარმოიდგენს კაცი ვასოს სიხარულს, როდესაც მან დაინახა სანრდო და მისი ბებია და გაიგო, რომ იგი სამუდამოთ მათთან დარჩებოდა. მას სიხარულის ცრემლები გადმოსცვივდა, გული სიამოვნებით აევსო. იმავე დღეს ვასოს თავი დაბანეს, გაასუფთაეს, საცვლები გამოუცვალეს, ახალი ტანისამოსი და ფეხსაცმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩააცვეს. ის თავის-თავს თითქმის ველარ სცნობდა. პირველ ხანს, ვიდრე შეეჩვეოდა იქაურობას, რაღაც განცვიფრებით ათვალიერებდა დიდრონ ნათელ ოთახებს და მის მოწყობილობას, ამ სახლის პატრონებსაც როგორღაც ეჭვით შეჰყურებდა. მაგრამ სანდრო და მისი ბებია ისეთი ალერსით ექცეოდენ ვასოს, რომ მალე დაავიწყეს მას თავისი მიუკარებლობა. ერთ კვირას შემდეგ წიგნებიც უყიდეს და სწავლა დააწყებინეს. ბავშვი ნიჭიერი იყო და ყველაფერს ადვილათ მიხვდა. ერთხელ ვასომ შეამჩნია ბებიას ოთახში ჩამოკიდებული გალია და შიგ რაღაც პატარა ფრინველი. დიდხანს უყურა შორიდან, ახლო ნახვა-კი ვერ გაბედა. ამ ფრინველის დანახვაზე მოაგონდა თავისი მეგობარი, ბულბული, და საშინლათ დაღონდა...

კვირა დღე იყო. ბებია ერთი თავისი ნაცნობი ქალის სანახავათ წავიდა, თან სანდროც წაიყვანა. ვასო-კი დარჩა შინ, აიღო მაშინვე წიგნი და გულმოდგინეთ შეუდგა გაკვეთილის შემზადებას. ამ დროს ბებიას ოთახიდან მოისმა ხმაურობა. ვასო წამოდგა და შეავიდა საჩქაროთ იქ და დაინახა, რომ სანდროს დიდი კატა ფანჯარაზე ამხტარიყო და გალიაში თათებს ჰყოფდა. ბავშვმა კატა ძირს ჩამოაგდო, თითონ შეიხედა გალიაში და რა დაინახა: მისი ძვირფასი პატარა ჩიტი-კი იყო შიგ!

— ჩემო მშვენიერო ბულბულო! — შეჰძახა გახარებულმა ვასომ. ფრინველმა გალიაში ხტომა იწყო სიხარულით; ხან ნისკარტს ჰყოფდა და ხან ფეხს გალიიდან, თითქოს უნდოდა მისალმებოდა საყვარელ მეგობარს და ტყვეობიდან დახსნას ეხვეწებოდა. მოვიდენ ბებია და სანდრო და დაინახეს გალიასთან მდგომარე ვასო. ბებიამ შუბლი შეიკრა და არა ჩვეულებრივი კილოთი ჰკითხა ვასოს:

— როგორ გაბედე შენ ჩემ ოთახში შესვლაო? — ბავშვმა ტირილით უამბო თავისი ბულბულის თავ-გადასავალი. ამ ამბავს შემდეგ ბებიამ გაატანინა გალია გარეთ და გაუღო ფრინველს კარები; შემდეგ მიუბრუნდა ვასოს და უთხრა:

— მე სრულებით არ ვიცოდი ის, რაც შენ მიამბე; აი, წავიდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა და დატკბეს თავისუფლებით, ის ძვირფასია ყოველი სულდგმულისთვის.

გახარებულმა ფრინველმა სწრაფათ გაშალა ფრთები და ერთ წამს თვალს მიეფარა...

— გახსოვს,—მიუბრუნდა უცებ ვასო სანდროს,—იმ დღეს მე და შენ ერთათ რომ ვკითხულობდით პატარა ლექსს „დედა-ენაში?" „გუშინ გავუღე გალიის კარი ჩემს დატყვევებულს უცხო ფრინველსა, და ჩვეულებრივ სიმღერა მტკბარი მოჰფინა ეშხით ტყესა და ველსა"... ახლა ხომ ჩემი ბულბულიც წინანდებურათ იწყებს სტვენა-გალობას და ყოველ დღე და ღამ ბებრას ლოცვაში იქნება, რომ მან თავისუფლება დაუბრუნა.

— ხომ ველარ ნახავ თავის დღეში შენს ბულბულს?—უთხრა სანდრომ ამხანაგს.

— როგორ არა,—მიუგო ვასომ,— ის ხშირათ გვესტუმრება ხოლმე და გალობას არ მოგვაკლებს; აბა წავიდეთ ბაღში და ვუდარაჯოთ.

გაიარეს ბაღისკენ და მართლა ცოტა ხანს შემდეგ ბულბული მოფრინდა ბაღში და პირ-და-პირ ვასოს მხარზე დააჯდა. ამას შემდეგ ჩვენი მეგობრები აღარ დაშორებულან. ბულბული ყოველ საღამოთი მოფრინდებოდა ხოლმე ბაღში, სადაც დახვდებოდენ მას სანდრო და ვასო, უსმენდენ გალობას, ეალერსებოდენ და დიდ სიხარულსა და სიამოვნებაში იყვენ...

ქეთო ზარაფიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალალ-მართლობა.

როგორ მოგწონს, ვანო, ეს ლურჯი მაუდი? ჰკითხა ერთხელ მამამ შვილს.

ვანომ მაუდი უკუღმა გადააბრუნა და დაუწყო შინჯვა, თავისი ჰატარა თითები ერთხელ ორჯელ გადაუსვა და მერე მოიწონა.

— რათ გადააბრუნე, შვილო? შენ კაი ჰირი უნახე, რას დაჩერებიხარ უკუღმა ჰირს, უთხრა მამამ.

— მე იმიტომ ვშინჯავ უკუღმა ჰირს, უპასუხა ვანომ, რომ მე მსოლოთ მაშინ შემიკერენ ამისაგან ტანსაცმელს, როცა შენ, მამავ, გაცვითავ. ამას წინეთაც დედამ შენი მაუდის ჩასაცმელი უკუღმა გადააბრუნა და ისე შემიკერა.

— მართალს ამბობს, მართალს! მეორე ოთახიდან სიცილით გამოიძახა დედამ. ის იქ მუშუს აჭმევდა ვანოს ჰატარა მმას.

(რუსულიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი მხატვარი.

ველ დროს საბერძნეთის ქალაქ აფინაში ორი მხატვარი გაჯიბრდენ, რომლის მხატვრობა სჯობიათ.

ბოლოს გადასწყვიტეს დაესატათ სურათები და საქვეყნოთ მოედანზე გამოეტანათ, რომ აფინელ ხალხს თვითონ გაესაჯა რომელი სურათი აჯობებდა. კაი მხატვრობისთვის ამათ დაჯილდოვებდენ დაფნის გვირგვინით და ფულით. ისეთი მხატვრობა უნდა წარმოედგინათ, რომ დახატული საგნები სინამდვილეს არ ჩამორჩენილიყვენ.

დანიშნულ დღეს ორივეს დახატული სურათები მოედანზე გამოიტანეს და აუარება ხალხი დაესია. ერთ სურათზე ისეთი სინამდვილით იყო დახატული ეურძნის მტევნები, რომ ზედ ფრინველები სხდებოდენ მარცვლის ასაკენკათ: მეორე სურათზე გადაფარებული იყო წმინდა ლეჩაქი და იქიდან მოჩანდა ხალხი და ხეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინელები აღტაცებაში მოვიდენ დასატული ფურცლის მტევნებით, მერე მიუახლოვდენ მეორე სურათს და მსატვარს უთხრეს: «ძოხადე ეგ ფარდა და გვიჩვენე რა დაგიხატავსო!» — ვერ ვასრულებ თქვენ თხოვნასო, უპასუხა მსატვარმა, — რადგან თვითონ ეს მსატვრობა წარმოადგენს ფარდა ჩამოფარებულ სურათსო.

პირველმა მსატვარმა მოატეუა ფრინველები, მეორემ-კი აჯობა იმითი, რომ თვით ხალხი მოატეუა.

ფინელებმა მეორე მსატვარი დაასაჩუქრეს ძვირფასი დაფნის გვირგვინით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიული აკროსტიხი.

(წარმოდგენილი დ. თომაშვილისაგან).

საუკუნეთა განმავლობაში
არ ლირსებია მას დასვენება,
ქრისტეს რჯულისთვის იბრძოდა მარად, —
ასეთი იყო ზენარსის ნება!
რყევა და შფოთი მოსეულ მტერთგან,
თაფლისთვის მოსულ ვით ბუზთა კრება...
ვერ აიტანა, დაშვრა... თქმულია:
ერთხელ წყალსაც-კი დაეძინება!..
ლომი კვლავ ლომობს, მის სიყვარული
ოჰ, ბავშნო! ნურვის დაგავიწყდება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფე არჩილ გულისაშვილისაგან).

ზეციდანა წამოვიდა კაბა-კუბა ჭრელოსანი,
სუყველა მას დაედევნა ქეციოთი და ცხენოსანი.

—

აბანოელი ბატები აბანოს ებანებიან,
მათი ნასროლი თოფები ხელმწიფეს ეკადრებიან.

—

ზველის ძველების მნახველი ღვთისაგან დაარსებული,
კარჩხალებიდან ნაძრობი მთებშია გალაღებული,
მიიკლაკნ-მოიკლაკნება ვით ლომი გააფთრებული.
ის არს მოწამე სუყველა ხალხის ავის და კარგისა
ამაღლების და დაცემის ტანჯვაში გაწრთვნილ-ქართლისა.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ჯ. სესნიაშვილისაგან).

კუს რომ ჯოჯო არ აჰკიდებოდა
იქნება ჩაქჩაქი მაინც ესწავლა.

—

ჭაში ჩახედვით თავს ვერ დაინახავ.

—

ვირიდან ჩამოვარდნილს ცხენზე არ შეეჯდომებ.

—

ტკბილის ნაჩვევი მწარეს ვერ შეჭამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩქარა გამოსათქმელი.

(წარმოდგენილი მისგანვე).

ნარწყავი მარწყვის მოწყვეტამ დანახვით გული მოწყვიტა.

უჯრების ამოცანა.

(წარმოდგენილი ორჩილ გულისაშვილისაგან).

ამ უჯრებში ჩასვით შემდეგი ასოები რომ გამოვიდეს რომელიმე ქართული ანდაზა: ა, ხ, ს, ლ, გ, დ, ბ, ა, ვ, ი, ი, ა, ა, ხ, ე, ო, გ, ა, მ, მ, ე, ს, ო, ბ, ვ, ე, თ, მ, ე, ე, ა, ი, დ, ნ, რ.

რებუსი

(წარმოდგენილი სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფე დიმიტრი დეკანოზიშვილისაგან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ | დიდი ხნის ჰურს რა ეკიდება | ს ა ჩ ა , ე ს ,

, ა , ი | მატლი ანუ? | , რ ს ,

№ X გამოცანებისა.

აკროსტიხი: ჯეჯილი.

გამოცანები: კულა, წურბელა, ირემი.

ზმა: საბანი, ბალიში, ხალიჩა.

მათემატიკური გამოცანა: 1) ხუმარა იჯდა სუფრის პირ.

ეროვნული

ველ კუთხეზე, მეორე—ზემოდან. 2) თვლა ხუმარისაგან იწყებაი დაიეკ პირველი კუთხიდან მეორე და მესამისაკენ.

არითმეტიკული ამოცანა: პირველ კალათში ყოფილა 11 ვაშლი, მეორეში 9 ვაშლი.

შარადა: თბილისი.

რებუსი: შენი თუ არა იხარჯებოდეს ლხინს ნურაფერი გირჩევნია.

რებუსი, შარადა და ორი არითმეტიკული ამოცანა გამოიცნო ახალციხის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფემ გაბრიელ დიდიმამაშვილმა.

თანახმათ მათი ყოვლად ფსამლვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი" საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.



რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეცამეტე

გამოვა 1902 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს **4** მან. თფილისს გარეშე გაგზავნით **5** მან. ცალკე ნომერი **50** კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თფილისში — „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*